საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდ-ვეული სიტყვაა, ტყეილებით და ჭორებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი-სამშაბათი, 7-8 ნოემბერი. 2022 წ. №171 (9509) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი



ჟურნალისტური გამოძიება: **გაზეთი მხარს უჭერს „POSTV“-ის ხედვას!**

იხ. 5 გვ.

ვის სიბინძურეს შეეწირა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა 2008 წელს?

დავით ქართველიშვილი:

2009 წელს იარაღის აფერების შესახებ ვაშინგტონიდან თბილისში მძაფრი სიგნალები წამოვიდა – სააკაშვილი იძულებული გახდა, დაესრულებინა ეს პროგრამა, ამ პერიოდიდან მოჩვენებით „ჩრდილში“ გაიყვანეს კეზერაშვილი

კეზერაშვილი შავი ფულით აფინანსებს პოლიტიკურ პარტიებს, ფლობს და აფინანსებს „კრიტიკულ მედიებს“, ასევე, სამოქალაქო სექტორის და „ავტორიტეტული ენჯეოების“ ნაწილს

„რაც აკლია ამ ვიდეორგოლში მოყვანილ ჩამონათვალს, ამაზე არაერთხელ დამიწერია. სამწუხაროდ, უკრაინის მხარე გასაგები მიზეზების გამო, დღემდე არ თანამშრომლობს საქართველოს პროკურატურასთან, ვინაიდან საკუთარ დანაშაულებრივ ძმედებებს ვერ გამოუტანს განაჩენს“, – ამ სიტყვებით ეხმაურება ცნობილი პოლიტოლოგი, „ხალხის ძალის“ წევრი **დავით ქართველიშვილი** ტელეკომპანია „POSTV“-ის მიერ დავით კეზერაშვილის შესახებ მომზადებული სიუჟეტს.

როგორც ქართველიშვილი აღნიშნავს, 2009 წელს იარაღის აფერების შესახებ ვაშინგტონიდან თბილისში მძაფრი სიგნალები წამოვიდა – სააკაშვილი იძულებული გახდა, დაესრულებინა ეს პროგრამა. მან ძმებ ახალაიებს დაავალა კიდეც, რომ შეესაბამისი მოჩვენებითი „სანქციები“ განეხორციელებინათ ნოდარ კაკაბაძის ფირმასთან მიმართებაში. ამ პერიოდიდან ასევე მოჩვენებით „ჩრდილში“ გადაიყვანეს დავით კეზერაშვილიც, რომლის მაგივრად სააკაშვილის კარზე ფავორიტების ადგილი სწორედ ძმებმა ახალაიებმა დაიკავეს.

ქართველი სტრატაპების წარმატება!

Theneo – ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ვებპლატფორმა – ყველაზე მნიშვნელოვანი სტარტაპკონკურსის – PITCH-ის გამარჯვებულია.

კონკურსი პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში, მასშტაბური ტექნოლოგიური კონფერენციის – Web Summit-ის ფარგლებში ჩატარდა.

ეს მიღწევა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქართული სტარტაპები ძალიან კონკურენტუნარიანია საერთაშორისო ბაზარზე. პროექტის განხორციელება სახელმწიფოს თანადგომით, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს დაფინანსებით გახდა შესაძლებელი.

მთავრობის ძალისხმევა მიმართულია ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობისაკენ. ჩვენ კვლავაც გავაგრძელებთ ნიჭიერი ახალგაზრდების ინოვაციური პროექტების მხარდაჭერას.

ვულოცავ პირადად ანუკი რობაქიძეს და „თენეოს“ მთელ გუნდს. მჯერა, რომ ეს დიდი გამარჯვება კიდევ უფრო მეტ სტიმულს მისცემს სამეწარმეო სულისკვეთებისა და ინოვაციური იდეების განვითარებას ჩვენს ქვეყანაში.

ირაკლი ღარიბაშვილი

თეატრი ცხოვრების სარკე

დმანისში ახალი კულტურის კერა შეიქმნა



7

2

ნინო ბურჯანაძე: მოუმზადებელმა პოლიტიკანებმა „ქართული ოცნების“ წისქვილზე მიუშვეს წყალი!

საკვირველი ამბები ხდება გაფარჩაკებულ ოპოზიციაში...

3

საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი აშშ-ის ელჩი კელი დეგნანი დიად ერევა სასამართლოს გადაწყვეტილებაში, ისევე როგორც სახალხო დამცველის ოფისი. ელჩი დეგნანი თვლის, რომ „მთავარი არხის“ გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიას პატიმრობა რისკის ქვეშ აყენებს ქართველი ხალხის მკაფიო არჩევანსა და საქართველოს ლიდერების გაცხადებულ მიზანს უფრო უსაფრთხო, დემოკრატიული, ევროპული მომავლისა.

საელჩოს განცხადებაში აღნიშნულია, რომ შერჩევითი გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და მსჯავრდების აღძვაც კი, ასუსტებს საგზაგადოების ნდობას სამართალდამცავების, პროკურატურის, სასამართლოებისა და თავად ხელისუფლების მიმართ. ელჩს არ მოსწონს გვარამიას მიმართ გამოტანილი განაჩენი, რომელიც მსჯავრდებულია ტელეკომპანია „რუსთავი-2-ის“ ხელმძღვანელობის პერიოდში უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში.

სხვა ქვეყნების ელჩები ჩუმად არიან, კელი დეგნანი ნაცების გამო კვნესის!

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარის **ირაკლი კობახიძის** განცხადებით, აშშ-ის საელჩოს მიერ გავრცელებული განცხადება სასამართლოს დამოუკიდებლობაში პირდაპირი ჩარევა იყო. როგორც კობახიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, საქართველოს პარტნიორები თანაბრად უნდა უფრთხილდებოდნენ სამართლის უზენაესობასა და სასამართლოს დამოუკიდებლობას როგორც საკუთარ, ასევე სხვა ქვეყანაში.

„ცოტა მძიმედ უნდა შევაფასო ასეთი განცხადებები. ჩვენ არც ერთ შემთხვევაში არ ვკადრულობთ სასამართლოს დამოუკიდებლობაში ჩარევას და სასამართლოს გადაწყვეტილებებზე რაიმე ფორმით ზემოქმედებას. გუშინ ვნახე აშშ-ის საელჩოს განცხადება, ეს იყო სასამართლოს დამოუკიდებლობაში პირდაპირი ჩარევა, რაც ბუნებრივია, ძალიან მძიმეა“.

იურისტი, პარლამენტის წევრი **კახა კახიშვილი** იხსენებს, რომ 2013 წელს, როცა საზოგადოება სასამართლო სისტემას აკრიტიკებდა, აშშ-ის საელჩოდან იყო მოთხოვნა, რომ არც ერთი მოსამართლე სამსახურიდან არ უნდა წავიდეს მიუხედავად იმისა, რა სიმძიმის განაჩენები დააყენეს მათ წინა წლებში. მისი თქმით, ეს იყო პირდაპირი მოთხოვნა.

„რომელიმე მოსამართლე კარგია თუ არა, ეს საქართველოს მოსახლეობის შესაფასებელია და არა აშშ-ის ან სხვა ქვეყნების ელჩების. ამის ნახევარი კრიტიკა გახსოვთ მაინც 2012 წლამდე? მე არ მახსოვს ასეთი ისტერიკები საელჩოსი. ამას იმით ვხსნი, რომ 2013 წლიდან ზედმეტად რევერანსის მდგომარეობაში დავდექით და ის კი არ მიიღეს, რომ ეს რევერანსია, მიიღეს, რომ ეს არის ჩვენი პოზა, რომელიც უნდა დავიკავოთ. ვიღაცებმა ეს ჩათვალეს რევერანსად, წინამორბედებმა და ამ ადამიანმა (კელი დეგნანი) ან შეიძლება სხვა ადამიანებმა ჩათვალეს, რომ ეს არის ვალდებულება“, — განაცხადა კახა კახიშვილმა.

პოლიტოლოგ **რამაზ საყვარელიძის** შეფასებით, სამწუხაროდ, აშშ-ის საელჩო სიმპათიით უყურებს „ნაციონალურ მოძრაობას“, მაგრამ იგივე სიმპათია არ გააჩნია ხელისუფლების მიმართ და ზედმეტად კრიტიკულია, მისი თქმით, ეს კრიტიკულობა ერთ მხარეს ძლიერია, მეორე მხარეს თითქმის არ არის, რაც ყველაფერში ჩანს და განსაკუთრებით სასამართლოს ნაწილში.

„მოგეხსენებათ, მთელ რიგ ქვეყნებში სასამართლო გადაწყვეტილებაში არა თუ სხვა ქვეყნის ელჩი, არამედ, თვითონ იმ ქვეყნის ხელისუფლება არ ერევა. ჩვენ ასეთი ორიგინალური მდგომარეობა გვაქვს - ელჩი აკრიტიკებს განაჩენს. აშკარად მიდის ტენდენცია იმისკენ, რომ მეტი სიმპათია და მხარდაჭერა იყოს გამოხატული „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ, რაც აისახა „ოცნებიდან“ გასული ჯგუფის განცხადებებში. აშკარად ჩანს, რომ აწყობთ ის ჯგუფი ხელისუფლებაში, რომელიც 10 წლის წინ იყო.

გავიხსენოთ, იმ წლებში საერთოდ შენიშვნა არ კეთდებოდა, მაშინ, როდესაც მდგომარეობა გაცილებით მძიმე იყო. ასე რომ, ასეთი დამოკიდებულების იქით რა უნდა ამოვიკითხოთ ცოტა ძნელია ამაზე მსჯელობა და ამ შემთხვევაში მსჯელობამ შეიძლება შეცდომა დაგვაშვებინოს. ისე, შედარებისთვის, ამერიკის გარდა სხვა ქვეყნის ელჩები ჩუმად არიან. არავინ არ აქტიურობს ასე ხაზგასმით, თან სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩარევის მკაფიო გამოვლენა არც ერთს არ აქვს ამერიკის საელჩოს გარდა. ვნახაოთ, სანამდე მიგვიყვანს ეს ფაქტები, რასაც ვამჩნევთ“, — აცხადებს რამაზ საყვარელიძე.

ანალიტიკოს **სოსო მანჯავიძის** განცხადებით, აშშ-ის ელჩი სრულიად, უცერემონიოდ ერევა პოლიტიკურ საკითხებში. ფავორიტების მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს აღიქვამს როგორც თავდასხმას მის სტატუსზე. როგორც მანჯავიძე აცხადებს, საქართველოში ჩამოყალიბდა სისტემა, სადაც ამერიკის საელჩოს ფავორიტები უფრო მაღლა დგანან, ვიდრე სასამართლო სისტემა და სახელმწიფო.

„მოდით, ასე ვთქვათ, რატომ ვთხოვთ ელჩს სასამართლო საქმეებში ჩარევას? რატომ მიგვაჩნია, რომ ამერიკის ელჩს უნდა გაეკეთებინა განცხადება? აშშ-ის ელჩი სრულიად უცერემონიოდ ერევა პოლიტიკურ საკითხებში. ქალბატონი ელჩისთვის გვარამია, სააკაშვილი და მთელი „ნაციონალური მოძრაობა“ თავისი არასამთავრობო სექტორით და მედიით არის დასაყრდენი და ბუნებრივია, იცავს თავის დასაყრდენს იმის მიუხედავად, აქვს თუ არა ამას სამართლებრივი, ან მორალური საფუძვლები. სხვა მათ არ აინტერესებთ.

ვისაც ჰგონია, რომ ამერიკა დაინტერესებულია რომელიმე ქვეყანაში სამართლიანი სასამართლოთი და დემოკრატიული ღირებულებებით, ის უბრალოდ სამკურნალოა, ელემენტარულად, ვერ გარკვეულა სად არის პროპაგანდა და სად არის სიმართლე. გვარამიას საქმე არის ამერიკის სახელმწიფოს და მისი წარმომადგენლის, ქალბატონი დეგნანის პოლიტიკური გავლენის საქმე. დეგნანი თავის კლიენტებს იცავს. ყველასთვის ნათელი უნდა იყოს რაც ხდება“, — აღნიშნა სოსო მანჯავიძემ.

თამთა ქარჩავა

ასეთი რა ვალი დაიდო ამ ჩვენმა ცოდვით სავსე იან კელმა, დღემდე რომ უწევს გადახდა!

კინორეჟისორი **გოგა ხაინდრავა** საქართველოში აშშ-ის ყოფილი ელჩის იან კელის განცხადებას ეხმაურება, რომლის თანახმად ამერიკელი დიპლომატი ამბობს, რომ „ქართული ოცნების“ სურვილია ბიძინა ივანიშვილი დეოლიგარქიზაციის კანონს მიღმა დატოვოს. მისივე თქმით, ევროინტეგრაციის ამ სიმულაციით არავინ მოტყუვდება.

„ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო“. ამ დროს გამოჩნდება როგორ არ ასვენებს ადამიანს ბოროტი. ასეთი რა ვალი დაიდო ამ ჩვენმა ცოდვით სავსე იანმა, დღემდე რომ უწევს გადახდა. ნეტა თავისი სამშობლოს ბედი თუ ადარდებს მისტერ კელის ისეთი ვნებით, როგორც ჩვენი?!“, — წერს გოგა ხაინდრავა ტვიტერზე.

ინფორმაციისთვის, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი ელჩი საქართველოში, იან კელი დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონპროექტს ეხმაურება, რომლის მიხედვითაც ოლიგარქთა სიაში ბიძინა ივანიშვილი არ მოიაზრება. იან კელი წერს, რომ „ქართული ოცნება“ ცდილობს, კანონი ბიძინა ივანიშვილს არ შეეხოს, რომლის დეოლიგარქიზაციაზეც ევროპარლამენტი საუბრობდა.

აშშ-ის ყოფილი ელჩი, კანონპროექტს „ევროინტეგრაციის სიმულაციას“ უწოდებს და წერს, რომ ამით დასავლეთში არავინ მოტყუვდება.

„მათ უნდათ, (დეოლიგარქიზაციის) კანონს მიღმა დატოვონ ერთი ბიჭი, რომელიც ევროპარლამენტს სურდა. რატომ კარგავენ გადასახადის გადამხდელთა დროსა და ფულს? ევროინტეგრაციის ამ სიმულაციით არავინ მოტყუვდება“, — წერს იან კელი.

ნინო ბურჯანაძე:

მოუმზადებელმა პოლიტიკანებმა „ქართული ოცნების“ წისქვილზე მიუშვეს წყალი!

...სამ პროცენტზე მეტი რომ არ აგიღია არც ერთ არჩევნებზე, როგორ შეიძლება, მესამე ძალაზე ილაპარაკო? — ამის შესახებ „ერთიანი საქართველოს“ ლიდერმა, ნინო ბურჯანაძემ „პალიტრანიუსის“ ეთერში „სტრატეგია აღმაშენებელზე“ საუბრისას განაცხადა.

ბურჯანაძის თქმით, პრეტენზია და ამბიცია ბევრი რამის შეიძლება გქონდეს, მაგრამ რეალობას თუ მოწყდები და ოცნებას დაიწყებ, ვერასოდეს მიაღწევ სასურველ შედეგს.

„ორ არჩევნებზე ზედიზედ 11 % ჩემი პარტიის გარდა, არცერთ პარტიას არ აუღია, „ნაციონალური მოძრაობას“ არ ვგულისხმობ, ცალკე თემაა, მაგრამ 11%-იც რომ მივიღე, მაშინაც არ მილაპარაკია, რომ მე ვარ მესამე ძალა და ალტერნატიული ძალა-მეთქი, რადგან ვაცნობიერებდი, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩემი 11 % ყველა პარტიის პროცენტზე მეტი იყო, არ იყო საკმარისი ალტერნატიული ძალის შესაქმნელად. არ შეიძლება ასე ლაპარაკი, სამ პროცენტზე მეტი რომ არ აგიღია არც ერთ არჩევნებზე, როგორ შეიძლება, მესამე ძალაზე ილაპარაკო? თან ვერავინ ვერ იტყვის, რომ გაგვიყალბეს არჩევნებიო, რადგან სხედან პარლამენტში“, — განაცხადა ბურჯანაძემ.

მისი თქმით, „სტრატეგია აღმაშენებელმა“, „დროამ“ და „გირჩი-მეტი თავისუფლებამ“ მოუმზადებელი იდეებით „ქართული ოცნების“ წისქვილზე მიუშვეს წყალი.

„როდესაც შენ გამოდიხარ მოუმზადებელი იდეით, როდესაც არ არის შეთანხმებული და განხილულიც კი სხვა პოლიტიკურ პარტიებთან, როდესაც შენი სავარაუდო მოკავშირეებიც კი, „ლელოდან“ „ნაციონალური მოძრაობიდან“ და სხვა, გაკრიტიკებენ, ეს უბრალოდ პოლიტიკური უმწიფრობის მაჩვენებელია. ვწუხვარ ამას რომ ვამბობ, მესმის ახალგაზრდები არიან, მოტივირებული არიან, მაგრამ შენი მოტივაციით კარგის ნაცვლად ცუდი არ უნდა გამოგივიდეს და გამოუვიდათ უარესი. ხელისუფლებამ მართლა დაიწყო იმაზე საუბარი, რომ არაფერი სხვა შეთავაზება არ აქვთ, ხელისუფლების შეცვლის თაობაზე მხოლოდ და თანამდებობების განაწილების თაობაზე ოპოზიციასო“, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

„ერთიანი საქართველოს“ ლიდერი ოპოზიციის შესაძლო გაერთიანების შესახებ „ლელოს“ წევრ დავით უსუფაშვილის იდეასაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ასეთ შემთხვევაში დიდი შანსია, ოპოზიცია „დაიშალოს და ველარ აეწყოს“.

„ჯერ დავიშალოთ, მერე ავეწყოთ, კარგით რა, მართლა. არ შეიძლება, ასეთი იდეები ტელევიზორში გაახმოვანო. რატომ ახმოვანებენ ოპოზიციის წარმომადგენლები იდეებს ტელევიზიით მაშინ, როდესაც მეტ-ნაკლები კომუნიკაცია ყველას გვაქვს ერთმანეთთან, რა პრობლემაა?

ვის ელაპარაკა „ლელო“, როდესაც ეს იდეა გამოაცხადა? რომელ პარტიას ელაპარაკა? ეს არის პრობლემა, როდესაც სიურპრიზებია ყოველდღიურად ხან ერთი პარტიიდან, ხან მეორე პარტიიდან, ხან მესამე პარტიიდან. ჯერ პრაიმერიზის იდეა იყო, ახლა დავიშალოთ და მერე ავეწყოთო, რომ დავიშალოთ და ველარ ავეწყოთ, მერე რა ვქნათ? ოპოზიციას დიდი პოტენციალი აქვს იმისი, რომ ვერ აეწყოს და მარტივ მამრავლებად დაშლილი დარჩეს“, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ:

ᲑᲝᲑᲝᲮᲘᲫᲔ, ᲑᲝᲙᲔᲠᲘᲐ, ᲩᲔᲠᲒᲝᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲚᲘᲐ ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲜ ᲐᲮᲐᲚ ᲞᲚᲐᲢᲤᲝᲠᲛᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲝᲓᲘᲝᲖᲣᲠ ᲤᲘ�გᲣᲠᲔᲑᲡ ᲛᲝᲡᲬᲧᲓᲜᲔᲜ!..

ᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲩᲓᲔᲑᲐ ᲒᲐᲤᲐᲠᲩᲐᲙᲔᲑᲣᲚ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲨᲘ...

— ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲓᲐᲕᲘᲗ, ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲛᲐ ᲐᲜᲢᲘᲙᲝᲠᲣᲤᲪᲘᲣᲚᲘ ᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲛᲘᲘᲦᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲝᲠᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲕᲔᲠᲪ ᲐᲜᲢᲘᲙᲝᲠᲣᲤᲪᲘᲣᲚᲘ ᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲓᲐ ᲕᲔᲠᲪ ᲓᲔᲝᲚᲘ�გᲐᲠᲥᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲕᲔᲠ ᲩᲐᲘᲗᲕᲚᲔᲑᲐ ᲘᲛ ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲪᲘᲔᲑᲐᲓ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲔᲕᲠᲝᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ�გᲐᲜ ᲘᲗᲮᲝᲕᲡ. ᲠᲐᲢᲝᲛ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲡ ᲝᲠᲝᲖᲘᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲕᲔᲠ ᲐᲜ ᲐᲠ ᲩᲐᲘᲗᲕᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚ ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲪᲘᲔᲑᲐᲓ?

— საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა და არავის წინაშე ვალდებული არ არის, რომ ანგარიში ჩააბაროს თუ როგორ, ან რანაირად აუმჯობესებს თავის საკანონმდებლო ბაზას, მით უმეტეს საუბარი მიდის ისეთი კანონების მიღებაზე, რომელმაც იგივე უკრაინას გაუადვილა ევროკავშირის წევრობის

კანდიდატის სტატუსის მიღება. ეს არის უკრაინა, სადაც წლებია ,მოქმედებს ქვეყნის ეროვნული ანტიკორუფციული ბიურო, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ჩვენი თანამემამულე გიზო უგლავაა.

ეს არის ის უკრაინა, სადაც ზარ-ზეიმით მიიღეს პრეცედენტული კანონი დეოლიგარქიზაციის შესახებ, რომელიც აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის ელჩებმა, ასევე ვენეციის კომისიამ მოიწონეს. საინტერესოა, ჩვენი ხელისუფლების ოპონენტების ლოგიკა, რომლებსაც უკრაინა და მისი წარმატება მოჰ ყავთ მაგალითად ევროინტეგრაციის გზაზე, მაგრამ, როგორც კი, საქართველო ამ წარმატების გაზიარებას ცდილობს და ცდილობს შემოიღოს იგივე კანონები, რომლებიც თავსებადია ევროპულ საკანონმდებლო სისტემასთან, აქ უკვე სერიოზული პრობლემები ჩნდება.

პრობლემები ჩნდება იმიტომ, რომ იგივე დეოლიგარქიზაციის კანონის მიღება უკრაინაში გადაწყვიტეს მას შემდეგ, რაც 2021 წლის 2 თებერვალს პრეზიდენტმა ზელენსკიმ თავის განკარგულებით აკრძალა ქვეყანაში სერიოზული და რეიტინგული ოპოზიციური პარტიების საქმიანობა. ასევე, აკრძალა იმ ტელევიზიების მაუწყებლობა, რომელთა უკან ოლიგარქიული ინტერესები იყო. ეს ცალსახად ანტიდემოკრატიული იყო, რადგან მილიონობით უკრაინელი ამომრჩეველი დატოვა პოლიტიკური არჩევანის გაკეთების გარეშე. ამ ადამიანებს აუკრძალეს ის პარტიები, რომლებსაც ისინი, პოლიტიკური თვალსაზრისით, აღიარებდნენ.

ყველაფერმა ამან გამოიწვია გაეროს ადამიანის უფლებების დაცვის მონიტორინგის მისიის ინტერესი უკრაინასთან მიმართებაში, რომელმაც გასულ წელს გამანადგურებელი ანგარიში დადო, რომ უკრაინაში პოლიტიკური თავისუფლების კუთხით ილახება ადამიანის ფუნდამენტური უფლებები. ასევე შეეხნენ ანტიდემოკრატიულ ქმედებებს, რის გამოც სამი ცენტრალური და ხუთი რეგიონული ტელევიზია საერთოდ დაიხურა და მათი ქონება დაყადაღდა. ამის შემდეგ უკრაინა, რათა თავი გაემართლებინა, იძულებული გახდა, უკანა რიცხვით მიეღო დეოლიგარქიზაციის კანონი და ამ კანონის თანახმად, ნაწილობრივ გაემართლებინა წინა თვეებში ჩადენილი ქმედებები.

საქართველო არ აპირებს უკანა რიცხვით რამის მიღებას. საქართველო ამ კანონის მიღებას ვიღაცის დასჯის გამო არ გეგმავს, ამას აკეთებს სწორედ იმ მიზნით, რა მიზნითაც ეს ჩანაწერი ჩვენმა ე. წ. ოპოზიციამ ჩაადებინა ევროპულ სტრუქტურებს საქართველოსთან დაკავშირებით.

დღეს დაუფარავად იძახიან, რომ საქართველოს ხელისუფლება არასწორ ინტერპრეტაციას უკეთებს ამ დათქმასო. თითქოს ხელისუფლება სტრიქონებს შორის ვერ კითხულობს ერთადერთ სახელსა და გვარს — ბიძინა ივანიშვილს, რომლის წინააღმდეგაც უნდა მიეღოთ აღნიშნული კანონი.

— გვახსოვს, ოპოზიცია როგორ ითხოვდა დეოლიგარქიზაციისა და ასევე, იმ კანონების მიღებას, რომელიც რეკომენდაციით არის გაწერილი, თუმცა, დღეს მთლიანად ოპოზიციური სპექტრი აღნიშნულ კანონპროექტებს მხარს არ უჭერს. ნიშნავს ეს იმას, რომ ოპოზიციას რამის შეეშინდა? ასევე, ოპოზიციის ნაწილი რამდენიმე დღის წინ ბრიუსელში იმყოფებოდა, შესაძლებელია ამბავი იქ ისე ჩაეტანათ, რომ ევროკომისიამ დეკემბრის ბოლოს დაიწუნოს ის რეკომენდაციები, რომელსაც ხელისუფლება ასრულებს?

— დეკემბრის ბოლოს ჩვენი შესრულებული სამუშაოს მისაღებად თავად ევროპა არ არის მზად, რადგან 12-პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულების განხილვა მათ თვითონ გადაიტანეს 2024 წლის გაზაფხულამდე. თუმცა საქმე ისაა, რომ ერთი მხრივ ე.წ. ოპოზიცია მიხვდა, რომ ეს კანონი პირდაპირ ურტყამს მათი ე.წ. პარტიების და ტელევიზიების დაფინანსების წყაროებს. ფაქტობრივად, იმ ხაფანგში მოხვდნენ თავად, რა ხაფანგსაც უგებდნენ ბიძინა ივანიშვილს, რომელსაც უკრაინული ვარიანტის თანახმად, ოლიგარქის სტატუსი საერთოდ არ მიესადაგება.

მეორე — რა თქმა უნდა, ისინი ყველაფერს აკეთებენ, რომ ჩაშალონ ამ 12-პუნქტიანი დათქმების რეკომდაციების შესრულება, რადგან წარმატებული პატაკი ხელისუფლების მხრიდან მათ არ აწყობთ. ისინი მიხვდნენ, რომ მათთვის ეს არის განაჩენის გამოტანის ტოლფასი. 12 რეკომენდაცია მათ მიერ იყო შეთავაზებული ბრიუსელისთვის, საქართველოს ხელისუფლების წინაშე დასაყენებლად, მაგრამ სულ სხვა მიზნით. ისინი გამორიცხავდნენ, რომ მთელი რიგი პუნქტები საერთოდ ექვემდებარებოდა შესრულებას, მაგრამ ხელისუფლება ნელნელა 12-ვე პუნქტის შესრულებას აპირებს. რეკომენდაციების შესრულება ხელისუფლებისთვის პრინციპის ამბავია და მმართველი გუნდი ბრიუსელს დაუმტკიცებს, რომ ხელისუფლებას პასუხისმგებლობის გრძნობა გააჩნია.

— ოპოზიციური სპექტრი ხელისუფლების წინააღმდეგ წავიდა, მაგრამ ასევე საინტერესო პროცესები მიმდინარეობს თავად ოპოზიციის შიგნით. საზოგადოებამ მოისმინა აკაკი ბობოხიძის აღიარება, რომლის შემდეგ ოპოზიციურ ფლანგში როგორ წარიმართება პროცესები არავინ იცის...

— არა მხოლოდ აკაკი ბობოხიძის აღიარება მოვისმინეთ, არამედ ძალიან საინტერესო აღიარება მოვისმინეთ გიგა ბოკერიას მეუღლის, თამარ ჩერგოლეიშვილის მხრიდან, რომელმაც პირდაპირ დაარქვა სააკაშვილის მმართველობის პერიოდს ოლიგარქადი. ბობოხიძემაც და ჩერგოლეიშვილმაც, ფაქტობრივად, სააკაშვილს განაჩენი გამოუტანეს.

სულ ახლახან კი ექსპრეზიდენტი უკრაინის თაობაზე ევრორეზოლუციაში შეიყვანეს, როგორც დემოკრატიისთვის მებრძოლი პოლიტპატიმარი და ასევე ვლადიმერ პუტინის პირადი პატიმარი. ახლა, მისივე გუნდის წევრები, რომლებიც მის კლანში წამყვან პოზიციებს იკავებდნენ 2003 წლიდან 2012 წლამდე, პირდაპირ ადებენ ხელს მას, როგორც ოლიგარქიული მმართველობის ავტოკრატს, რომელსაც არაფერი ესაქმება დემოკრატიულ პრინციპებთან. ასევე მოვისმინეთ კიდევ ერთი საინტერესო ფიგურის, „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის, ნიკა მელიას განცხადება.

მან, ფაქტობრივად, გააგრძელა ეს ხაზი, გააგრძელა „ნაცმოძრაობისა“ და მიხეილ სააკაშვილის დროინდელი რეჟიმის დიაგნოზის დასმის ხაზი. გამორიცხული არ არის, რომ ბობოხიძე, ბოკერია, ჩერგოლეიშვილი და ნიკანორ მელია ამზადებდნენ ახალ პლატფორმას და აქვთ სურვილი, რომ ოდიოზურ ფიგურებს მოწყდნენ.

— ვინ შეიძლება, ამ ოთხეულის ნავში ვიხილოთ კიდევ?

— დღეს რადიკალური ფრთა — „დროა“ „გირჩი-ჯაფარიძე“ და უმცროსი ვაშაძე ცდილობენ რადიკალური ძალების გაერთიანებას. ვინც მათ არ მიეკედლება, პოტენციურად ყველანი შეიძლება ვიხილოთ ახალ პოლიტიკურ პლატფორმაში, რომელსაც უფრო პოლიტიკურად მოზომილი განცხადებების მქონე ე.წ. ოპოზიციონრები წარმოადგენენ.

— შეიძლება მოხდეს ისე, რომ ამ ოთხეულით შექმნილი ახალი პლატფორმა აღმოჩნდეს ის ოპოზიცია, რომელიც ხელისუფლებასთან ერთად ერთ მაგიდასთანაც კი დაჯდეს?

— ნიკანორ მელიამ 2022 წლის 8 თებერვალს „მთავარი არხის“ პირდაპირ ეთერში საკუთარი თავი საინტერესოდ წარმოაჩინა. მან, როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ, ფაქტობრივად, ეს ორგანიზაცია გააცამტვერა, როგორც კლასიკური პოლიტიკური პარტია. მან სრული ლუსტრაცია მოახდინა იმ ორგანიზაციის, რომელსაც წლების განმავლობაში დღემდე პარტიად მოაქვს თავი, მაგრამ კლასიკურ პოლიტიკურ პარტიის არც ერთი ატრიბუტი მას არ ახასიათებს.

ეს იყო შექმნილი ორგანიზაცია მხოლოდ ერთი მიზნით, რათა გაეპრავებინა პოლიტიკურ ველზე „ნაცმოძრაობის“ ბელადის ხელისუფლებაში ყოფნის დანაშაულებრივი წლები. შემდგომ, ყველანაირი ხერხით კვლავ დაებრუნებინა თავისი ბელადი ხელისუფლების სათავეში.

აქედან გამომდინარე, მაშინაც დავინახე მკაფიოდ ნიკანორ მელიას ამ ორგანიზაციის ნაწილის, კონსტრუქციულ კალაპოტში გადაყვანის მცდელობა, რომ შეექმნა კლასიკური ევროპული პოლიტიური პარტია. ვფიქრობ, მელიას ეს ხაზი მკაფიოდ მიჰყავს და მის გარშემო გაერთიანდება ყველა, ვისაც ყელში ამოუვიდა ათწლიანი ქუჩაში ყოფნა, აქციები, ტექნიკური მთავრობების იდეა და ჯონ აკერმანის გეგმების ხორცშესხმა.

— სწორედ მელიას ასეთი მიდგომის გამო, შეიძლება ითქვას, რომ ის მისმა თანაგუნდელებმა 20 ივნისის დღეს გაწირეს და ციხეში გაუშვეს?

— სიმართლე გითხრათ, ამ კუთხით არ მიფიქრია, მაგრამ ლოგიკის მარცვალი, რა თქმა უნდა, ამ ვარაუდში იკითხება.

— ნიკა გვარამიას პატიმრობაში დარჩენას აშშ-ის ელჩი გამოეხმაურა და განაცხადა, რომ საქართველო რისკის ქვეშ დადგა ევროპული მომავლის გზაზე. როგორ შეაფასებდით კელი დეგნანის ამ განცხადებას?

— აშშ-ის საელჩოს მხრიდან უკვე ღიად მიდის თამაში იმ ადამიანებთან და ორგანიზაციებთან, რომლებიც აშშ-ის საელჩოს კლასიკურ აგენტურას წარმოადგენენ. ელჩი დაუფარავად ცდილობს აგენტურული ძალის ცალკეული წევრების გადარჩენას. დასავლური ფასეულობების გადასახედიდან, მისი ანტიდემოკრატიული განცხადებების შეფასება ძალიან მიჭირს.

ისე უცერემონიოდ ეხებიან სასამართლოს სისტემის გადაწყვეტილებას, რაც ქვეყნის დამოუკიდებლობის ერთ-ერთი ატრიბუტია და, რომელსაც არ ცნობენ. ჩვენს სახელმწიფოს დაუფარავად ეძცევიან, როგორც საკუთარ კოლონიას, რომელიც რაღაც საკითხებში თავისი კოლონიზატორის აზრს აღარ ითვალისწინებს.

ესაუბრა
ᲫᲔᲗᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ

ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲔᲤᲔᲠᲔᲑᲐ

ᲝᲯᲐᲮᲔᲑᲡ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲑᲘᲜᲔᲑᲘ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲣᲠ ᲤᲐᲡᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐᲗ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲡᲝᲡ გადაწყვეტილებითა და თბილისის მთავრობის განკარგულებით, ქართველი გმირის, ჯუმბერ ბეთაშვილის ოჯახს, დროებით სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი ბინა (2003 წლიდან) სიმბოლურ ფასად 1 ლარად საკუთრებაში გადაეცა. ეს გადაწყვეტილება საკრებულოს 4 ნოემბრის სხდომაზე მიიღეს.

დედაქალაქის საკრებულოს ცნობით, საკითხს „ქალაქ თბილისში, რაფაელ აგლაძის ქუჩა №1-ში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ საკრებულოს წევრებმა დაუჭირეს მხარი.

„მე ბავშვებს და ქალებს ვერ მივატოვებ“ — ეს იყო ქართველი გმირის, ჯუმბერ ბეთაშვილის პასუხი შეთავაზებაზე, სასწრაფოდ დაეტოვებინა აფხაზი სეპარატისტების, რუსი და ჩრდილოკავკასიელი ბოევიკების მიერ აღებული სოხუმი. მან პირობა შეასრულა.

ბოლოს, ჯუმბერ ბეთაშვილი ჟიული შარტავასთან და მის სხვა კოლეგებთან ერთად ნახეს, როდესაც ხელებშეკრული გამოიყვანეს ბოევიკებმა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს შენობიდან და ცალკე გაიყვანეს. მას შემდეგ 54 წლის ქართველი გმირი აღარავის უნახავს.

ჯუმბერ ბეთაშვილი 1939 წელს თბილისში დაიბადა, ცხოვრობდა ზემელზე, სწავლობდა ვაჟთა პირველ გიმნაზიაში. მისი მეგობრები იყვნენ ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, გელა ჩარკვიანი. მამა რკინიგზელი იყო და სამსახურის გამო სოხუმში გადავიდნენ საცხოვრებლად. ასე გახდა ჯუმბერ ბეთაშვილი სოხუმელი. მთელი თავისი ცხოვრება აფხაზეთს დაუკავშირა და ოჯახიც იქ შექმნა. ჯუმბერ ბეთაშვილი დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით“.

დედაქალაქის საკრებულოს სხდომაზე, ასევე, საკრებულოს გადაწყვეტილებითა და თბილისის მთავრობის განკარგულებით, საქართველოს შეიარაღებული ძალების ყოფილ და მოქმედ სამხედროებს, მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონება სიმბოლურ ფასად 1 ლარად საკუთრებაში გადაეცათ.

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედროები აღნიშნულ ქონებას 2007-2013 წლებიდან ფლობენ. სულ ასეთი ოჯახების რაოდენობა 54 შეადგენს და მათი უდიდესი ნაწილი მუნიციპალიტეტის მიერ საცხოვრებელი ფართით უკვე დაკმაყოფილებულია. საკრებულოს მიერ დღეს მიღებული გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილდა ათი ოჯახი და ეს პროცესი ფაქტობრივად დასრულებულია“.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲛᲘᲔᲜᲘᲭᲜᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲡᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲛᲘᲔᲜᲘᲭᲜᲐ.

საკრებულოს წევრების გადაწყვეტილებით, ჩუღურეთის რაიონში მდებარე ხიდს ქართველი კლასიკოსი მწერლის, გურამ დოჩანაშვილის, ჭოროხის ქუჩას ქართველი მუსიკოსისა და ფოლკლორისტის, ანზორ ერქომაიშვილის სახელი მიენიჭა.

დიდუბის რაიონში გრიგოლ რობაქიძის გამზირთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ სკვერს მომღერლისა და მუსიკოსის, ჯემალ ჭკუასელის სახელი დაერქვა.

ჩუღურეთის რაიონში მდებარე კანკავას ქუჩას კომპოზიტორის, საქართველოს დამსახურებული არტისტისა და თბილისის საპატიო მოქალაქის, გომარ სიხარულიძის, ხოლო გაბრიელ სუნდუკიანის ქუჩის შესახვევს ფოლკლორისტის, კუკური ჭოხონელიძის სახელი ეწოდა.

მთაწმინდის რაიონში, თბილისის ქუჩის მონაკვეთი, მასთან არსებული ერთი ჩიხი და ერთი შესახვევი რეჟისორის, მხატვრის რევაზ გაბრიაძის სახელობის გახდა.

ისნის რაიონში, კონსტანტინე ცუცქირიძის ქუჩის მონაკვეთსა და იორის შესახვევის მონაკვეთს არქიტექტორის, გიგა ბათიაშვილის სახელი მიანიჭეს, ხოლო ამავე რაიონში მდებარე ნავთლუღის ქუჩასთან არსებულ უსახელო სკვერს კი საბერძნეთის სახელი უწოდეს.

გლდანის რაიონში, მუხიანში, იოსებ ნონეშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მომღერალ ზურაბ ბაკურაძის სახელი მიენიჭა. თბილისის №220 საჯარო სკოლა კი, დღეიდან ზურაბ ძამუნაშვილის სახელს ატარებს.

ᲒᲛᲐᲓᲚᲝᲑᲗ WANDERLUST!

ᲑᲐᲗᲣᲛᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ...

ᲞᲝ�პᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲒᲖᲐᲣᲠᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ WANDERLUST ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲢᲐᲢᲘᲐᲡ ᲐᲫᲕᲔᲚᲜᲔᲑᲡ. ინფორმაციას აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი ავრცელებს.

გავლენიანი გამოცემა ბათუმში მოგზაურობის შვიდ მიზეზს ასახელებს, მილიონობით მკითხველს კი ბათუმში მოგზაურობისკენ მოუწოდებს.

„შავი ზღვის მარგალიტის“ სახელით ცნობილი, საქართველოს სუბტროპიკული ქალაქი ბათუმი 2000 წელზე მეტია ხიბლავს ვიზიტორებს. მას ყველა მიზეზი აქვს მოგანდომოთ თავად აღმოაჩინოთ იგი... ის ერთდროულად არის როგორც უძველესი, ისე თანამედროვე, გულუხვი, სტუმართმოყვარე და ერთ-ერთი ყველაზე გემრიელი საკვებითა და ღვინით დალოცვილი ქალაქი მსოფლიოში.

რას ელოდები? — იწყებს სტატიას ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ ᲞᲘᲢᲔᲠ ᲛᲣᲠᲘ.

ბათუმში მოგზაურობის მიზეზებს შორის გამოცემა ქალაქის არქიტექტურას, სანაპიროს, ბუნებას, აჭარის მთებსა და გემრიელ სამზარეულოს ასახელებს. „აჭარის მთები, რომლითაც გარშემორტყუმულია ბათუმი, უფრო მეტია ვიდრე უბრალოდ თვალწარმტაცი ფონი ქალაქისათვის.

ზღვის დონიდან 1500-2200 მეტრზე მდებარე ციცაბო ფერდობები, დაფარული ხშირი ტყით, წყალუხვი ჩანჩქერებითა და ტბებით, ერთდროულად სიმშვიდის თავშესაფარსა და სათავგადასავლო ადგილს წარმოადგენს“. აჭარის მთებზე საუბრისას ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ ხაზს უსვამს ეროვნული პარკების ბიომრავალფეროვნებასა და იუნესკოს აღიარებას.

Wanderlust-ის ყურადღების ცენტრში ექცევა ბათუმის ბულვარიც თავისი სანაპიროთი და ზღვისპირა არქიტექტურით, ასევე ქალაქის თანამედროვე და ძველი შენობების ნაზავი.

„ბათუმი თვალწარმტაცი არქიტექტურის ქალაქია, სადაც მე-19 საუკუნის შენობები შერწყმულია თანამედროვე ცათამბჯენებთან. ბათუმს აქვს ყველაფერი, დაწყებული დიდებული ბაროკოს ნაგებობებიდან, ანბანის კოშკის მსგავსი ულამაზესი „საინსტაგრამო“ შენობებით დამთავრებული“.

ქართული კულტურისა და ტრადიციების უკეთ შესაცნობად ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ მოგზაურებს ბათუმში სუფრაზე მოხვედრას ურჩევს, რომელიც სავსეა ადგილობრივი კერძებით, ქედის უნიკალური ღვინითა და მასთან შერწყმული მრავალხმიანი ფოლკლორით.

„იქნება ეს უნიკალური მრავალხმიანი სიმღერა, უძველესი აჭარული ცეკვები თუ სუფრასთან ასე მჭიდროდ დაკავშირებული სადღეგრძელო, ქეიფის ტრადიცია. ბათუმში კულტურა განუყოფლად არის დაკავშირებული საზოგადოების დღესასწაულთან და სტუმართმოყვარეობასთან. როგორც არ უნდა გადაწყვიტოთ აჭარაში დრო გაატაროთ, სიურპრიზებით სავსე დასვენება გელოდებათ და უეჭველად დაბრუნდებით სახლში მოგონებებით, რომლებიც მთელი ცხოვრება თან გაგყვებათ,“ — წერს პოპულარული ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ.



ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲮᲨᲘ „ᲑᲘᲝᲑᲐᲛᲑᲘᲡ“ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝ ᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲓᲐ

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში კომპანიის „ბიობამბის“ ბიოდეგრადირებადი საწრუპი ჩხირების საწარმო ამოქმედდა. სოფლის განვითარების პროგრამის თანადაფინანსება 125,000 ლარია.

„სოფლის განვითარების პროგრამა“ ქედას, ხულოს, ბორჯომის, ახალქალაქის, თეთრიწყაროს, ყაზბეგის, ლაგოდეხისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში ხორციელდება. „სოფლის განვითარების პროგრამას“ სოფლის განვითარების სააგენტო, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის“ ფარგლებში ახორციელებს.

სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია 77 პროექტი, ინვესტიციის ჯამური ღირებულება 11 მლნ ლარს აჭარბებს, თანადაფინანსება 7,800,000 ლარს აღემატება.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲐᲪᲣᲚᲘ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐ ᲨᲘᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲚᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ პარლამენტმა „ტანასა და თეძამის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტი, მესამე მოსმენით, 91 ხმით, ერთხმად მიიღო.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ შემუშავებული კანონპროექტი, შიდა ქართლში, გორის მუნიციპალიტეტში, ტანასა და თეძამის დაცული ტერიტორიების შექმნას ითვალისწინებს, რომელიც ორ კატეგორიას მოიცავს: **ტანასა და თეძამის დაცული ლანდშაფტის საერთო ფართობი 21 864 ჰექტრით, ტანას აღკვეთილის საერთო ფართობი 10 986 ჰექტარით განისაზღვრა.**

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, ტანასა და თეძამის ხეობები წარმოადგენს მნიშვნელოვან ადგილს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისთვის, ახასიათებს ფლორისა და ფაუნის სახეობების მრავალფეროვნება, მათ შორისაა საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობები. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტოს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს დაცული ტერიტორიების შექმნა/გაფართოება.

დღეისათვის, საქართველოს დაცული ტერიტორიების ფართობი თითქმის 800 000 ჰექტარს შეადგენს და ქვეყნის ტერიტორიის თითქმის 12%-ია, წლის ბოლომდე კი დაგეგმილია დაცული ტერიტორიების, ჯამში, 100 000 ჰექტრით ზრდა“, — აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲖᲔ - ᲓᲠᲝᲖᲔ!

ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ჯანდაცვის სამინისტროში მორიგი შეხვედრა გაიმართა.

ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრაზე რეფერენტული ფასწარმოქმნის მექანიზმები და მეთოდები განიხილეს. შეთანხმდნენ წამლის კანონში შესატან ცვლილებებზე, რომელიც მთავრობასა და პარლამენტს წარედგინება. რეფორმის მიხედვით, სახელმწიფო მედიკამენტის ღირებულების იმ მაქსიმალურ ზღვარს დაადგენს, რომელზე მაღალ ფასადაც წამლების რეალიზაცია აიკრძალება.

რეფერენტული ფასები, 2023 წლიდან, ქრონიკული დაავადებების სამკურნალო პრეპარატებზე დაწესდება, ეტაპობრივად კი ფასების რეგულირების მექანიზმი სხვა ჯგუფის მედიკამენტებზეც გავრცელდება. დაგეგმილი ცვლილებები, სამინისტროს წარმომადგენლებმა, ფარმაცევტული სფეროს წარმომადგენლებს გასულ კვირას გააცნეს. რეფერენტული ფასების მექანიზმის შემუშავების პროცესში, ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები, ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად მუშაობენ.

დავით ქართველიშვილი:

2009 წელს იარაღის აფერების შესახებ ვაშინგტონიდან თბილისში მძაფრი სიგნალები წამოვიდა – სააკაშვილი იძულებული გახდა, დაესრულებინა ეს პროგრამა, ამ პერიოდიდან მოჩვენებით „ჩრდილში“ გაიყვანეს დავით კეზერაშვილი



ვის სიბინძურეს შეეწირა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა 2008 წელს?

(პირველი გვერდიდან) კიდევ ერთხელ გავიხსენოთ... უკრაინელი ჟურნალისტების მიერ თავის დროზე წამოწყებული გამოძიების მონაცემებით, 2005 წელს უკრაინაში პრეზიდენტად ვიქტორ იუშჩენკოს არჩევის შემდგომ, შემუშავებული იქნა პროგრამა კოდური სახელწოდებით „გრიფი პრეზიდენტი“, რომელიც ითვალისწინებდა უკრაინიდან საქართველოში იარაღის მიწოდებას (პროგრამა გაწერილი იყო 2005-2010 წ.წ. პერიოდზე).

უკრაინულ მხარეს ამ პროგრამის განხორციელებაში წარმოადგენდა იუშჩენკოს ნდობით აღჭურვილი პირი, „უკრსპეცექსპორტის“ ხელმძღვანელის პოსტზე დანიშნული, СБУ-ს პოდპოლკოვნიკი, „ჩვენი უკრაინის“ პარტიიდან რადას სახალხო დეპუტატი - სერგეი ბონდარჩუკი.

სწორედ მისი უშუალო პატრონაჟით, 2005-2008 წ. წ. უკრაინის ტერიტორიაზე გახსნილი იქნა 180-მდე მაღაზია, სადაც დაკონსერვებული იყო ძირითადად ვადაგასული და გამოყენებისათვის უვარგისი, საბჭოთა წარმოების სხვადასხვა ტიპის შეიარაღება: ცეცხლსასროლი (მათ შორის მსხვლკალიბრიანი) იარაღი, „გრადები“, ჯავშანტექნიკა, სათადარიგო ნაწილები და ა.შ. საქართველოს მხრიდან ამ პროგრამაზე პასუხისმგებელი პირის, თემურ ალასანიას მითითებით, 2006 წელს ამ სქემების განხორციელებას მოაშორეს ირაკლი ოქრუაშვილი, რომელმაც არ დაივიწყა ეს პირადი წყენა და 2007 წლის სექტემბერში, „იმედის“ ღამის შოუში ინგა გრიგოლიასთან პირდაპირ ეთერში ამხილა მიხეილ სააკაშვილი და მისი ოჯახის წევრები იარაღის უკანონო ვაჭრობაში, რის შემდეგ დააპატიმრეს კიდეც.

უკრაინელების ინფორმაციით, ქართულ ტექნიკურ მხარეს ამ პროგრამაში დავით კეზერაშვილი წარმოადგენდა. მხოლოდ სამი წლის განმავლობაში, საერთაშორისო დონორების მხრიდან მიღებული თანხებიდან — მილიარდ 200 მილიონი დოლარი უკრაინული სამხედრო ჯართის შესყიდვებზე დაიხარჯა.

ტექნიკურ ფინანსურ მხარეს უკრაინული მხრიდან უზრუნველყოფდნენ ვინმე ციბულიაკი და ელმანდიევი, ხოლო ქართული მხრიდან - მამუკა მუჯირი. 2005 — 2008 წ.წ. ამ არხებით მიღებულ იარაღზე გაკეთებულმა შიდა ტექნიკურმა აუდიტმა დაადასტურა, რომ მისი მთლიანი ოდენობიდან 90 პროცენტი არაკონდიციურ მდგომარეობაში იყო. აქედან გამომდინარე, გაჩნდა დანარჩენი, ვარგისი 10%-ის გაყიდვის საჭიროება.

უკრაინული მხარის წარმომადგენელმა ციბულიაკმა და თემურ ალასანიამ ამ მისიის შესასრულებლად შეარჩიეს იარაღის უკანონო ვაჭრობის ბაზარზე ამ საქმის ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი კანდიდატი, ოდესის მკვიდრი ლეონიდ მინინი, რომელიც იმ მომენტისთვის ისრაელში ცხოვრობდა და აშშ-ევროპის მიმართულება მისთვის სამუდამოდ ჩაკეტილი იყო.

ეს ის ლეონიდ მინინია, რომელიც თავის არანაკლებ ცნობილ „კოლეგასთან“ ვიქტორ ბუტთან ერთად ჰოლივუდური გახმაურებული ფილმის „იარაღის ბარონის“ მთავარი გმირის (ნიკოლას ქეიჯის შესრულებით) პროტოტიპებს წარმოადგენდნენ. სწორედ ლეონიდ მინინის რეკომენდაციით, ბათუმის აეროპორტის ბაზაზე დარეგისტრირდა კერძო ავიაგადაზიდვების კომპანია (ხელმძღვანელი — ნოდარ კაკაბაძე), რომელიც უკრაინული სატვირთო ბორტ „ილ-76“-ით ახორციელებდა კონდიციური იარაღის მიწოდებას აზიისა და აფრიკის სხვადასხვა ცხელ წერტილებში. მიუხედავად იმისა, რომ თვითმფრინავიც და ეკიპაჟიც უკრაინული იყო, ფრენებს ახორციელებდნენ ქართული დროშით.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც 2009 წელს აღნიშნული იარაღის აფერების შესახებ ვაშინგტონიდან თბილისში მძაფრი სიგნალები წამოვიდა — სააკაშვილი იძულებული გახდა დაესრულებინა ეს პროგრამა. მან ძმებ ახალაიებს დაავალა კიდეც, რომ შესაბამისი მოჩვენებითი „სანქციები“ განეხორციელებინათ ნოდარ კაკაბაძის ფირმასთან დაკავშირებით.

ამ პერიოდიდან ასევე მოჩვენებით „ჩრდილში“ იქნა გაყვანილი დავით კეზერაშვილიც, რომლის მაგივრად სააკაშვილის კარზე ფავორიტების ადგილი სწორედ ძმებმა ახალაიებმა დაიკავეს. თუ ზემოაღნიშნული ჟურნალისტური გამოძიების ნარატივი ნაწილობრივ მაინც მოიცავს სიმართლეს, გამოდის რომ სწორედ ამ კომპლექსურ სიბინძურეს შეეწირა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა 2008 წელს.



გამოდის, რომ ამას შეეწირა ჩვენი დასავლელი პარტნიორების ძალისხმევაც — სამშვიდობო ხიდი გაებათ თბილისთან სოხუმსა და ცხინვალიდან. გამოდის, რომ ამას შეეწირა მტრის ზურგში საზარბაზნე ხორცად მიტოვებული ჩვენი გენოფონდის განადგურება. რომ სწორედ ამას შეეწირა ასეულ ათასობით ახალი იძულებით გადაადგილებული პირი.

შეეწირა იმისთვის — რომ ჯართში გადახდილ მილიარდ 200 მილიონ დოლარს რუსეთთან ომით ჩამოწერა სჭირდებოდა. და თანხის სოლიდური რაოდენობიდან გამომდინარე — მსხვერპლის ოდენობაც სოლიდური უნდა ყოფილიყო, იძულებით გადაადგილებულთა რაოდენობაც და ომით გამოწვეული სხვა დანაკარგის მასშტაბიც...

კეზერაშვილი შავი ფულით აფინანსებს პოლიტიკურ პარტიებს, ფლობს და აფინანსებს „კრიტიკულ მედიებს“, ასევე სამოქალაქო სექტორის და „ავტორიტეტული ენჯეოების“ ნაწილს

„ეს გზა გაიარა წერა-კითხვის უცოდინარმა დავით კეზერაშვილმა „ძუჩის ბიჟოგიდან“ ოლიგარქამდე, გაიარა უშუალოდ მიხეილ სააკაშვილის ხელშეწყობით. ბიზნესის რეკეტი, ბიუჯეტის ძარცვა, ელიტარული კორუფცია, „შავი სალარო“, ეს ყველაფერი მიხეილ სააკაშვილთან იყო შეთანხმებული და კეზერა იყო მისი და მისი ოჯახის პირადი „კასირი“, — ამის შესახებ თბილისის საკრებულოს წევრი ვლადიმერ ბოჟაძე სოციალურ ქსელში წერს. მისი თქმით, მოპარული ფულიდან ასეულობით მილიონი უკვე დაახარჯა და კიდევ ბევრ მილიონს დაახარჯავს დავით კეზერაშვილი ოპოზიციას, მის მიერ მართულ მედიებს და ენჯეოებს, მაგრამ შედეგი იქნება აბსოლუტური ნული.

„დღეს ქართული ჯარისთვის ფულის მომპარავი დავით კეზერაშვილი რადიკალური ოპოზიციისთვის მნიშვნელოვანი პერსონაა: ის შავი ფულით აფინანსებს პოლიტიკურ პარტიებს, ფლობს და აფინანსებს „კრიტიკულ მედიებს“, ასევე სამოქალაქო სექტორის და „ავტორიტეტული ენჯეოების“ ნაწილს, სწორედ ამიტომ შემოიხია ტანზე პოლიტიკოსთა, მედია-მენეჯერთა და „ენჯეოშნიკთა“ ნაწილმა დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონპროექტზე, დიახ, უკრაინაში მიხეილ სააკაშვილის მომზადებული და საქართველოს რეალობაზე მორგებული კანონპროექტი პირველ რიგში კორუმპირებულ, საქართველოში ბიზნესის და ბიუჯეტის ძარცვით გამდიდრებულ კეზერაშვილს შეეხება და მერე სხვებს.

მოპარული ფულიდან ასეულობით მილიონი უკვე დაახარჯა და კიდევ ბევრ მილიონს დაახარჯავს დავით კეზერაშვილი ოპოზიციას, მის მიერ მართულ მედიებს და ენჯეოებს მაგრამ შედეგი იქნება აბსოლუტური ნული, რადგან სისხლიანი და რეპრესიული რეჟიმის ერთ-ერთი შემოქმედის ხელისუფლებაში დაბრუნებას საქართველოს მოსახლეობა არასდროს დაუშვებს.

არასდროს!“

რა გასჭირვებიათ, ქართველ ექსპორტიორებს?

რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე ინფლაციური რისკები გაზრდილია, არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ ევროპისთვის, პრობლემებია გლობალურ ბაზარზეც, გამოწვევებს ქმნის ევროს გაუფასურებაც. თუ როგორ უმკლავდებიან გამოწვევებს ექსპორტიორები ამ და სხვა თემებზე ექსპორტის განვითარების ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარემ გვანცა მელაძემ ისაუბრა. მისი თქმით, დღეისთვის სექტორის ყველაზე დიდი გამოწვევა არაპროგნოზირებადობაა.

მელაძის განმარტებით, სწორედ ეს არაპროგნოზირებადობა აბნევს მეწარმეებს, რის გამოც მათ მოლაპარაკებების წარმოება და გრძელვადიანი კონტრაქტების გაფორმება უჭირთ, რადგან არ იციან, თუ როგორ დააზღვიონ რისკები. ეს ყველაფერი კი მომსახურებას და პროდუქციას აძვირებს, რის გამოც სექტორში შეფერხებებია.

რაც შეეხება ბაზრების დივერსიფიცირებას, გვანცა მელაძემ აღნიშნა, რომ ასოციაციის წევრებს შორის დივერსიფიცირებაზე ის კომპანიები არიან ორიენტირებული, რომლებიც დსთ-ს ქვეყნებზე მუშაობდნენ, ხოლო დანარჩენები არსებული ბაზრის შენარჩუნებას ცდილობენ.

„იმდენად არაპროგნოზირებადი სიტუაციაა, რომ მწარმოებლებს ახალ ბაზრებზე ინვესტიციის ჩადება უჭირთ, რადგან ისიც არ იციან, თუ როგორი იქნება 2-3 წლის განმავლობაში ევროკავშირში მაკროეკონომიკური სიტუაცია. მეწარმეებისთვის ძალიან დიდი შოკი იყო, როდესაც ევროს კურსი დაეცა. გვქონდა შემთხვევები, როდესაც რამდენიმე წევრმა ახალი კონტრაქტები შეაჩერა და გააუქმა, იმიტომ რომ მოგების მარჟა იმდენად შემცირებული იყო, რომ კონკრეტულ ქვეყანაში ექსპორტს ვეღარ ახერხებდა.

ვისაც გრძელვადიანი კონტრაქტები უკვე გაფორმებული აქვს, სამწუხაროდ მათთვის ცვლილება მარტივი არ არის, შესაბამისად იმ მეწარმეებსაც ვინც ჩვენი წევრი არ არის, ჩვენ ვურჩევთ, რომ რისკები გაითვალისწინონ, კონტრაქტში დაზღვიონ და გარკვეული კურსი ან ვალუტა დააფიქსირონ“, — აღნიშნა „ბიზნეს-პარტნიორის“ ეთერში გვანცა მელაძემ.

მელაძის თქმით, ახლა სასმელების ექსპორტისთვის ყველაზე ხელსაყრელი პერიოდია, რადგან ახალი წელი მოდის, ასევე თხილის მოხმარებაც აქტიურ ფაზაშია. თუმცა მისივე თქმით, თხილის ფასს თურქეთი არეგულირებს, როდესაც თურქეთში თხილზე ნაკლები მოთხოვნაა, ეს საქართველოს ფასზეც მოქმედებს.

„სავარაუდოა, შეფერხებები გვექნება, თუმცა ექსპორტი საკმაოდ გაზრდილია და ალბათ საბოლოო ჯამში მაკრო დონეზე ეს ყველაფერი დარეგულირდება. თუმცა კერძო კომპანიებში და კონკრეტულ სექტორებში გარკვეული ცვლილებები იქნება, შესაბამისად საჭიროა დაზღვევის მექანიზმების გააქტიურება, მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ გარკვეულ პირობებზე ევროკავშირი არ მოგვყვება.

დაზღვევა გულისხმობს კურსის დაფიქსირებას ან ინფლაციის შემთხვევაში ფასის ცვლილების უფლებას, შესაძლებელია მსგავსი პუნქტების გათვალისწინება ხელშეკრულებაში, მაგრამ შესაძლოა მსხვილმა იმპორტიორებმა მსგავსი პირობების საშუალება მცირე მეწარმეებს არ მისცეს, რაც ქართველი ექსპორტიორებისთვის რთულია“, — აღნიშნა გვანცა მელაძემ.

რაც შეეხება ევროპის ქვეყნებში ხელშეკრულების დოლარში გაფორმებას, გვანცა მელაძე პასუხობს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში იმპორტიორები მოლაპარაკებას აჩერებენ და ალტერნატიულ წყაროს ეძებენ.

„კონკურენცია ისეთ პროდუქციაზე, რასაც ჩვენ ვაწარმოებთ საკმაოდ დიდია, ჩვენგან ბევრი რაოდენობით უნიკალური და განსაკუთრებული პროდუქცია არ გადის, შესაბამისად სავაჭრო პირობების წამოყენება ნაკლებად შეგვიძლია.

ძირითადად, ჩვენი ექსპორტიორები არიან ასეთ არაპროგნოზირებად მდგომარეობაში და თუ კომპანიამ კეთილი ნება გამოიჩინა და ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს უკვე ექსპორტიორთან და მისი დაკარგვა არ უნდა, შესაძლოა დათმობაზე წამოვიდეს. განვითარებულ ბაზრებზე ძალიან მნიშვნელოვანია პარტნიორული გამოცდილება იმისთვის, რომ შეღავათიან პირობებზე მოელაპარაკო“, — აღნიშნა გვანცა მელაძემ.

იმ კომპანიებისთვის, რომლებსაც პროდუქტი უკრაინასა და რუსეთში გაჰქონდათ, გვანცა მელაძე აღნიშნავს, რომ გამოსავალი ბაზრების დივერსიფიცირებაა. თუმცა ეს რთული საქმეა და პირველად დიდ ინვესტიციას საჭიროებს და ამიტომ ეს კომპანიები უნდა შეეცადონ, რომ ისევ დსთ-ს ქვეყნებში გავიდნენ, ამოიღონ ეს ამონაგები და შემდეგ უფრო სტაბილურ ბაზრებზე გააკეთონ დივერსიფიცირება.

„ჩვენ რუსეთს უფრო კომფორტულ ბაზარს ვეძახით, იმიტომ რომ მეწარმეებს არ აქვთ ენის ბარიერი, ნაკლები ლოჯისტიკური პრობლემები აქვთ და მალფუჭებადი პროდუქციის გატანა მარტივად შეუძლიათ.

ვერც იმას ვიტყვით, რომ რუსი მომხმარებელი ბევრად ნაკლებს იხდის, ასევე უფრო მეტად კომპანიები ქარხნიდან გაყიდვაზე არიან ორიენტირებული და ლოჯისტიკურ პროცესებში ჩართვა არ უწევს, რაც დიდ ბაზრებზე არ ხდება. ამიტომ ერთადერთი, რასაც ჩვენ ექსპორტიორებს ვურჩევთ, არის ის, რომ იქიდან მიღებული შემოსავალი დააბანდონ და ინვესტიცია სტაბილურ ბაზარზე გააკეთონ, ყველას მორალურ პასუხისმგებლობას ვერ მოსთხოვ, მაგრამ გვმართებს, მომავლის მოთხოვნის გათვალისწინება. მაგალითად, როდესაც რუსეთზე ემბარგო იყო და ღვინის სექტორს სხვა გზა არ ჰქონდა, სერტიფიცირება ზუსტად მაშინ დაინერგა და ძალიან ბევრმა კომპანიამ ეს გააკეთა, თუმცა ეს იყო იძულებითი. ამიტომ ჩვენ წევრ ყველა კომპანიას ვურჩევ, რომ გრძელვადიან სტრატეგიებზე წინასწარ იფიქრონ“, — დასძინა გვანცა მელაძემ.

თაკო კვაჭანტირაძე

სიკვდილს სიღარიბე კი სჯობს, მაგრამ?!

ინფლაციამ შეგვჭამა, ბაზარი გაველურდა!

საქართველოში ხელფასები, ასე თუ ისე, იზრდება, მაგრამ სამჯერ სწრაფად მატულობს ფასები სამომხმარებლო პროდუქტებზე. მართალია, ეს გლობალური პრობლემაა, მაგრამ ქვეყნის მოსახლეობისთვის ამგვარი არგუმენტი ვერაფერი შვებაა. შექმნილ ვითარებაში გამოსავალი ძნელად მოსაძებნია. მხოლოდ მაღალი ეკონომიკური ზრდა ვითარებას ვერ ცვლის.

ხელფასების ზრდის მიმართულებით ქვეყანაში გარკვეული ცვლილება შეინიშნება, მაგრამ სამომხმარებლო პროდუქციაზე ფასი გაცილებით სწრაფად და დიდი სხვაობით გაიზარდა. როგორც გაერთიანებული პროფკავშირების ხელმძღვანელმა ირაკლი პეტრიაშვილმა განაცხადა, ორი წლის განმავლობაში ინფლაცია თითქმის 26%-ით არის გაზრდილი, ხოლო საშუალო ხელფასმა მხოლოდ 9%-ით მოიმატა.

ფასების ზრდას ხელფასების მატების ტემპი რამდენჯერმე ჩამორჩება

„ინფლაციამ შეჭამა შემოსავალი, ბოლო 2 წელიწადში 25,9%-ით გაიზარდა. საშუალო ხელფასი კი მხოლოდ 9%-ით არის მომატებული, ხოლო ამაში რამდენი იყო ტუმბენეჯმენტის და ადმინისტრაციის წილი და რამდენი დასაქმებული ადამიანების, ეს კიდევ ცალკე საკითხია. რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ეკონომიკური ზრდაა საჭირო, მაგრამ როგორი ტიპის ეკონომიკური ზრდაც არ უნდა გვქონდეს, თუ მას გარკვეული რეგულაციები არ მოჰყვა, როგორ იქნება?

ჩვენ ჯერ ველური ბაზარი გვაქვს, შრომითი ბაზარიც ველურია და სანამ ამ სიველურიდან არ გამოვალთ და არ ვიტყვით, რომ აი, მინიმუმი ეს არის, უსაფრთხოებასთან, ხელფასებთან, ბიზნესის ხელშეუხებლობასთან, მისი გაკოტრებისგან დაცვასთან, დასაქმებულის მონად ქცევასთან დაკავშირებით და ა.შ. საქმე არ გამოვა. აი, ეს გარანტიები უნდა იყოს“, — განაცხადა პეტრიაშვილმა.

ვითარების დრამატულობას ადასტურებენ ექსპერტებიც. „ეკონომიკური ტრანსფორმაციის ცენტრის“ ხელმძღვანელის **რამაზ გერლიანის** შეფასებითაც, ყველაზე დიდ გავლენას მოსახლეობის გაღარიბებაზე ინფლაცია და ხარჯების ზრდა ახდენს. შემოსავლები კი მას ვერაფრით ვერ ეწევა.

„ინფლაცია და არასწორი მონეტარული პოლიტიკა აღარიბებს საქართველოს მოსახლეობას. ამ დროს არც ერთი ნაბიჯი არ გადადგმულა ბოლო პერიოდში ისეთი, რომელიც ამ რისკებს შეამცირებდა და შეცვლიდა რეალობას. არსებული პროგნოზით, ინფლაცია 2023 წელს შემცირდება, მაგრამ არავინ იძლევა პირობას, რომ იქნება დეფლაცია და ფასები შემცირებას დაიწყებს. პირიქით, მეტად გაიზრდება, ოღონდ შედარებით უფრო დაბალი ტემპით. დიდი პრობლემაა რეფინანსირების მაღალი განაკვეთიც, რაც ასევე ძალიან უწყობს ხელს მდგომარეობის გაუარესებას.

გამოსავალს ვერ ხედავს ხალხი და ქვეყნიდან გარბის. რეფორმას ვერ ატარებს მთავრობა, მის მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა შედეგი ვერ მოიტანა. შემოსავლების ზრდა თუ არ მოხდა, გაღარიბება გარდაუვალია, ვხედავთ, რომ სოციალური პროგრამები ამ მხრივ ვერაფერს შველის, ქვეყანაში რეფორმები უნდა ჩატარდეს, სწორად მოიძებნოს გამოსავალი“, — განაცხადა გერლიანმა.

„საქსტატმა“ ქვეყანაში გაცემული ხელფასების შესახებ ახალი ანგარიში გამოაქვეყნა. დოკუმენტის თანახმად, 2021 წლის განმავლობაში საქართველოში საშუალო ხელფასი 1,304 ლარი იყო. შარშან მენეჯერულ პოზიციებზე (ყველა სექტორში არსებული მენეჯერული პოზიციებზე) საშუალოდ 2 414 ლარის ხელფასი გაიცემოდა. არაკვალიფიციური მუშაკების ხელფასები კი საშუალოდ 674 ლარს შეადგენდა.

სტატისტიკის მიხედვით, ყველაზე დაბალი შრომის ანაზღაურება, 674 ლარის ოდენობით, არაკვალიფიციურ მუშაკებს აქვთ. სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებული კვალიფიციური მუშაკების ხელფასი 791 ლარია, რასაც 120 ლარით აღემატება მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირების გასამრჯელო, რომელიც 911 ლარს შეადგენს.

კაცების ხელფასი ყველა პოზიციაზე აღემატება ქალების ხელფასს. მენეჯერების პოზიციაზე ქალების ხელფასი 1863.5 ლარით განისაზღვრა, ხოლო კაცების ხელფასი — 2768.9 ლარით. გენდერული სახელფასო სხვაობა ყველაზე მაღალია არაკვალიფიციური მუშაკების პოზიციაზე, სადაც ქალების საშუალო ხელფასი მამაკაცების ხელფასს 53.5 პროცენტით ჩამორჩება.

ბექა დანელია

წლეულს ექსპორტზე 107 მილიონი ბოთლი ღვინო გავიდა!

აბრარულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მეხუზლას მოუსმინეს, რომელმაც კომიტეტის წევრებს ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ 2021 წელს და 2022 წლის ათ თვეში განხორციელებული საქმიანობის ანგარიში გააცნო. ინფორმაციას პარლამენტის პრესსამსახური ავრცელებს.

მისი თქმით, ღვინის ეროვნული სააგენტო მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარების და ხელშეწყობის მიზნით, რამდენიმე მიმართულებით მუშაობს: მევენახეობის განვითარება; ქართული ღვინის პოპულარიზაცია; ღვინის ხარისხის კონტროლი; რთველის ხელშეწყობის ღონისძიებები; ქართული ვაზის კულტურის კვლევა და პოპულარიზაცია; ქართული ღვინის ადგილწარმოშობის სისტემის განვითარება. ამისათვის ღვინის ეროვნული სააგენტოში 6 სახელმწიფო პროგრამა მოქმედებს.

ლევან მეხუზლამ კომიტეტის წევრებს თითოეული მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია გააცნო. ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის განცხადებით, ღვინის პოპულარიზაციისა და ცნობადობის გაზრდისკენ მიმართული ღონისძიებები აქტიურად გრძელდება ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზრებზე.

იხ. 9 გვ.



დმანისში ახალი კულტურის კერა შეიქმნა



რეჟისორმა ლაშა ჩხვიმიანმა დმანისის სახელმწიფო თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელად მუშაობისას, მოწვეულ რეჟისორებთან საინტერესო სპექტაკლები დადგა: თამარ ხიზანიშვილმა (სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“), **გიორგი სავანელმა** (ა. ჩეხოვის მიხედვით „აჩრდილები და წითელი ძაღლები“, ჰ. იბსენის „ხალხის მტერი“), **ელენე მაცხონაშვილმა** („პატარა უფლისწული“), **ანუკი ცუცქირიძემ** (ჯ. ქარჩხაძის მიხედვით „ჰომო ერექტუს“), ხოლო თვით ლაშა ჩხვიმიანმა მის მიერ ჩამოყალიბებულ სტუდიის მოწაფეებთან ერთად ექსპერიმენტული პერფორმანსი-აქცია „1.800.000 წლის შემდეგ“ წარმოადგინა.

ამჟამად ლაშა ჩხვიმიანმა დმანისში დააფუძნა მულტიფუნქციური სახელოვნებო ორგანიზაცია „შეხვედრის ადგილი“. იგი მსახიობების ხელშეწყობის, მათი შემოქმედებითი იდეების დასაფინანსებლად ალტერნატიული წყაროს გაჩენისა და დმანისში თეატრალური პროცესის გააქტიურების მიზნით შეიქმნა.

USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამის მხარდაჭერით, დმანისში ალტერნატიული კულტურულ-სოციალური პროცესი წამოიწყო, რომლის ფარგლებში ერთი წლის განმავლობაში 50-ზე მეტი სახელოვნებო, საგანმანათლებლო და სოციალური აქტივობა განხორციელდება. დმანისის მუნიციპალიტეტის 58 სოფლიდან შემთხვევითობის პრინციპით შეირჩა 10 სოფელი, სადაც სპექტაკლები გათამაშდება, მათ შორისაა ისეთი სოფლებიც, სადაც მხოლოდ 10-მდე ადამიანი ცხოვრობს, სოფლამდე მისასვლელი გზა არ არის მოასფალტებული და საათზე მეტია საჭირო დმანისიდან იქ ჩასასვლელად. ძალიან რთული იქნება ასეთ ადგილებში წარმოდგენების გამართვა, მაგრამ პროექტის მიზანიც სწორედ ეს არის, აქციოს შეუძლებელი შესაძლებლად და რეგიონსა და სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის ყოველდღიურობა გაამრავალფეროვნოს. გათვალისწინებულია სპექტაკლის შემდეგ მაყურებელთან შეხვედრა და გასაუბრება, რაც მნიშვნელოვანია დადგმის უკეთ აღსაქმელად, მსახიობების გასაცნობად. სამომავლოდ დასი ყოველი ახალი სპექტაკლის დადგმისას განახლდება და მაყურებელიც ახალ მსახიობებს გაიცნობს.

საგულისხმოა, რომ ლაშა ჩხვიმიანმა თეატრისთვის დაარეგისტრირა საკუთარი ეზოს 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, აქ შენდება დარბაზი, რომელიც მომავალი წლის დასაწყისისთვის უნდა დამთავრდეს. იგი რიგითი მოქალაქეების შემოწირულობებით შენდება და მის მოსაწყობად 20.000 ლარია საჭირო. დარბაზი 40 მაყურებელზეა გათვლილი, ხოლო მოძრავი სცენა 4X4 კვ.მ. იქნება. ამავე დროს, გათვალისწინებულია კაფე და ბიბლიოთეკა. ამდენად, დმანისს კიდევ ერთი კულტურის კერა შეემატება.

დღისით სოფელში თეატრალური დასი ჩადის და ვრცელდება ხმა, რომ საღამოს სპექტაკლი იქნება. იწყება სპექტაკლის გასათამაშებელი სივრცის შერჩევა, დენის წყაროს ძებნა, რაშიც აქტიურად ერთვება სოფლის მოსახლეობა. ერთ-ერთ სოფელში, სადაც სპექტაკლის სათამაშოდ ადგილი არ მოიძებნა, სოფლის ახალგაზრდობამ სახელდახელოდ გაშალა სეფა, რომ წვიმას სპექტაკლისთვის ხელი არ შეეშალა. თითოეული სოფლის ისტორია არის მაგალითი, თუ როგორ შეუძლიათ რიგით მოქალაქეებს გაერთიანდნენ, რომ ერთი საღამო მაინც იყოს მათი ყოველდღიურობიდან განსხვავებული და ფერადი.

კონკურსის წესით შეირჩა რეჟისორი აჩი გოგუაძე, რომელმაც ცნობილი ინგლისელი დრამატურგის ჰაროლდ პინტერის პიესა „მთის ენა“ დადგა. ეს პიესა თავად ავტორმა დადგა და პრემიერა 1988 წლის 20 ოქტომბერს ლონდონის ნაციონალურ თეატრში გაიმართა. მართალია, პიესა ეთნიკური უმცირესობების თემას ეხება, რასაც ავტორი თურქეთის ციხეში ორთვიანი პატიმრობის დროს შეესწრო, მაგრამ სიუჟეტი ასევე შეიძლება აღვიქვათ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომების პერიოდის გამოხატულებად. პრობლემატიკიდან გამომდინარე, კარგი იქნება, თუ ამ სპექტაკლს შიდა ქართლის კონფლიქტის ზონაშიც ითამაშებენ.

სპექტაკლი უჩვეულო გარემოში მიმდინარეობს. მოქმედების ადგილად დმანისის ყოფილი საავადმყოფოს შენობა შეირჩა, სადაც მხოლოდ კარკასია შემორჩენილი და მეოთხე სართულზე ასვლამდე მაყურებელს რთული და საშიში გზა აქვს გასავლელი, რომ კიბიდან არ გადავარდეს, ან შენობის ჭერი მოულოდნელად არ ჩამოიქცეს. ექსტრემალურ გარემოში მოხვედრილი მაყურებელი სკამებზე ჩამოჯდება და მოპირდაპირე შენობაში მიმდინარე მოქმედებას ადევნებს თვალს, რომლის პარალელურადაც დიდ ეკრანზე მსახიობები ჩანან. მათ ოპერატორი დაჰყვება და მოქმედებასა და დიალოგებს ეკრანზე წარმოაჩენს. დეკორაციის ფუნქციას შიშველი კედლები ასრულებენ, მაგიდა და სკამები მოქმედების ადგილს აკონკრეტებს, სადაც ხან ოფიცრის კაბინეტი, ხან დაკითხვის ოთახი იგულისხმება. მოქმედებისთვის სხვადასხვა სართული იყო გამოყენებული, ხოლო სპექტაკლის დასაწყისში ოპერატორის კამერას მაყურებელი ბნელ ლაბირინთებში დაჰყავდა, რაც ციხის გაუსაძლის პირობებს, გმირთა დრამატულ განწყობას გამოხატავს!

რეალური გარემო ზუსტად შეესაბამება პიესით განსაზღვრულ სიტუაციას, მაგრამ ტექნიკური გაუმართაობის გამო ცუდად ისმოდა მსახიობთა ხმა, ოპერატორი ძირითადად შორეულ პლანს იღებდა, როცა მსახიობთა თამაში მსხვილი და საშუალო პლანით უნდა წარმოეჩინა. ალბათ, ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ სპექტაკლი ადგილზე რეპეტიციის გარეშე დაიდგა და სინქრონი ვერ მოხერხდა.

მსახიობები სიტუაციურ მოვლენებს განასახიერებდნენ და ცდილობდნენ, ემოციური განწყობა მოეტანათ მაყურებლამდე, რამაც მიზანს მიაღწია. საშემსრულებლო ანსამბლი ასე გამოიყურებოდა: ახალგაზრდა ქალი – **ვიკა ბოკერია**, მოხუცი ქალი – **მანანა ტატიშვილი**, სერჟანტი – **გიორგი ტაბიძე**, ოფიცერი – **გიორგი ტატიშვილი**, პატიმარი – **გიორგი ცერცვაძე**, კაპიშონიანი კაცი – **ოთარ აშკარელი**, დამატებული პერსონაჟი – **რუსა არაბული**.

მაყურებელი ზუსტად აღიქვამს დაუნდობელ ბუნებას სერჟანტისა (**გ. ტაბიძე**) და ოფიცრისას (**გ. ტატიშვილი**), რომლებსაც მორალური ფასეულობები არ გააჩნიათ და დატყვევებული ადამიანის დამცირებით მოპოვებული უპირატესობით ტკბებიან. ისინი პატიმრის სანახავად მოსულ მოხუც დედასაც (**მ. ტატიშვილი**) აბუჩად იგდებენ, საუბრის საშუალებას არ აძლევენ და ვითომც „სახელმწიფო ენაზე“ საუბარს სთხოვენ. ქალი დაბნეულია, არ იცის, რა გააკეთოს და როგორ მოიქცეს, ჩუმად შესცქერის შვილის წამებას, რომელსაც მის თვალწინ სპეციალურად ატარებენ სამხედროები. ოფიცრის ცინიკურად ნათქვამი: „ახლა ყურადღებით მომისმინეთ! თქვენ მთის ხალხი ხართ. ხვდებით, ხომ? თქვენი ენა მკვდარია. აკრძალულია. ჰო, აკრძალულია მკვდარ ენაზე აქ საუბარი. დაუშვებელია თქვენს კაცებს საკუთარ ენაზე ესაუბროთ. ეს ყოვლად დაუშვებელია. ხვდებით, ხომ? უფლება გაქვთ მხოლოდ სახელმწიფო ენაზე ისაუბროთ. ეს ერთადერთი სამეტყველო ენაა, რისი გამოყენების უფლებაც გაქვთ. იცოდეთ, საშინლად დაისჯებით, თუ აქ, ამ სივრცეში საკუთარ ენაზე ალაპარაკდებით. ეს კანონში წერია. ვიმეორებ, თქვენი ენა კატეგორიულად აკრძალულია. მკვდარია. ჩათვალეთ, აღარ არსებობს. კითხვები ხომ არ გაქვთ?“ სრულად გამოხატავს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში სეპარატისტთა მიერ ქართული ენის აკრძალვის მცდელობას, ეროვნულ ჩაგვრას და, ძალადობას.

ახალგაზრდა ქალი (**ვ. ბოკერია**) დაბნეულია მისთვის ასეთ უცხო გარემოში მოხვედრით, სადაც დასცინიან და მხოლოდ გასაუპატიურებელ ქალად აღიქვამენ. ამიტომაც უხეშად პასუხობს და წინააღმდეგობის გაწევას ცდილობს. იგი საკუთარი უფლებების დაცვას ცდილობს: „აქ ქმრის სანახავად მოვედი. ამის სრული უფლება მაქვს. სადაა ჩემი ქმარი?“ მისთვის ქმრის გადარჩენაა მთავარი და, ვითარებიდან გამომდინარე, თანახმაა უფროსთან სექსზე, თუკი ყველაფერი მოგვარდება. თუმცა ქმრისადმი გრძნობას ინარჩუნებს და მასთან ტბაზე გატარებულ დროს წამიერად იგონებს, როგორც მისთვის ძვირფასი, მნიშვნელოვანი განწყობის გამომხატველი.

აღსანიშნავია, რომ თითოეულ მსახიობში იგრძნობა დიდი ენთუზიაზმი, პროფესიული პასუხისმგებლობა და ახალი ფორმების ძიების სურვილი, თუნდაც მწირი, ეკონომიკური შესაძლებლობებით. მთავარია, სპექტაკლმა ხელოვნების სიყვარულით გააერთიანოს დმანისის რაიონის მოსახლეობა, ინტერესი გაუღვივოს, მიანიჭოს სიხარული და ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში სიახლე დაამკვიდროს.

გუბაზ მეგრელიძე



მიკროავტობუსები თეატრებისთვის

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო კიდევ 12 თეატრისათვის 12 ახალ მიკროავტობუსს შეიძენს. 2022 წლის 28 ოქტომბერს სამინისტრომ 12 ერთეული მიკროავტობუსის შესყიდვაზე გამოაცხადა 1 270 152 (მილიონ ორას სამოცდაათი ათას ას ორმოცდათორმეტი) ლარის ღირებულების ტენდერი, რომლის დასრულების თარიღია 2022 წლის 28 ნოემბერი.

კულტურის სამინისტრომ თეატრებში ტრანსპორტის პრობლემის მოგვარებაზე ზრუნვა 2021 წელს დაიწყო, რის შედეგადაც, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ 10 თეატრს უკვე გადაეცა ახალი მიკროავტობუსები. თითოეული მიკროავტობუსი თეატრების სიმბოლოებით გაფორმდა. ეს საჩუქარი მინისტრმა თეა წულუკიანმა თავად გადასცა თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელებს და მათ წარმატებული გასტროლები და შემოქმედებითი საქმიანობა უსურვა.

აღსანიშნავია, რომ უკვე მრავალი წელია, საქართველოში მოქმედი თეატრების სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა არ განახლებულა და ისინი საბჭოთა კავშირის დროს შეძენილ ავტომანქანებს (ე.წ. „ყუბანს“) ფლობენ. მინისტრ თეა წულუკიანის ინიციატივით, თბილისის ორ და რეგიონების რვა თეატრს უკვე გადაეცა უახლესი მიკროავტობუსები, მეორე ტენდერის შედეგად კი თეატრებს კიდევ 12 მიკროავტობუსი გადაეცემა.

„რა უთქვამს, რა მოუზმანავს“, გონებით მანუსჯელ ჰუტინს!..

კრემლის რიტორიკის მიზნები და მიზეზები

რა არის „ბინძური ბომბი“?!

ბოლო რამდენიმე კვირაა, კრემლი, რუსეთის სამხედრო მაღალჩინოსნები, „ბინძური ბომბის“ შესახებ საუბრობენ და კიევის მიმართ ბრალდებებს გამოთქვამენ – თითქოს, უკრაინა საკუთარ ტერიტორიაზე, საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, „ბინძური ბომბის“ გამოყენებას გეგმავს და მისი შექმნის ბოლო სტადიაზეა.

რა არის „ბინძური ბომბი“, როგორ მუშაობს ის, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს მის ბრძოლის ველზე გამოყენებას, – როგორც ადამიანური მსხვერპლის, ასევე სამხედრო-სტრატეგიული თუ პოლიტიკური თვალსაზრისით? ამ საკითხების შესახებ, ვაშინგტონში, რამდენიმე მიმართულების სპეციალისტს ვესაუბრეთ – ჰანს კრინსტენსენს, რომელიც „ამერიკელ მეცნიერთა ასოციაციის“ ბირთვული საინფორმაციო პროგრამის ხელმძღვანელია; მარკ ქენსიენს, აშშ-ის საგზაო ქვეითთა კორპუსის თადარიგის პოლკოვნიკს, რომელიც „სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრის“, CSIS-ის საერთაშორისო უსაფრთხოების პროგრამის უფროსი მრჩეველია. ასევე, ჯორჯ ბაროსს, გეოსივრცული დაზვერვის ჯგუფის ხელმძღვანელს, „ომის კვლევის ინსტიტუტიდან“ და გამოცდილ ამერიკელ დიპლომატს, უკრაინაში შეერთებული შტატების ყოფილ ელჩს, ჯონ ჰერბსტს.

რა არის „ბინძური ბომბი“?

დასაწყისისთვის – „ბინძური ბომბი“ რადიოაქტიური და ქიმიური ნივთიერებებისგან შემდგარი, ერთგვარი კუსტარული მოწყობილობაა, რომლის შექმნა განსაკუთრებულ სირთულეებთან დაკავშირებული არ არის. მას არ იყენებს სამხედრო ძალები და მეტწილად ტერორისტულ იარაღად განიხილება.

ჰანს კრისტენსენი, „ამერიკელ მეცნიერთა ფედერაციის“ ბირთვული საინფორმაციო პროგრამის ხელმძღვანელი, „ამერიკის ხმასთან“ საუბრისას ამბობს, რომ საკუთარი მახასიათებლებით, ამგვარი ბომბი უფრო ახლოს არის ქიმიურ იარაღთან, ვიდრე მაგალითად, ტაქტიკურ ბირთვულ იარაღთან.

„ბინძური ბომბი, შემთხვევებში, რადიოაქტიური მასალის თაიგულია, რომელიც ქიმიურ ფეთქებად ნივთიერებებშია მოთავსებული. ქიმიკატების აფეთქების შემდეგ, რადიოაქტიური მასალა გარემოში ვრცელდება. ეს არ არის იარაღი, რომელსაც სამხედრო ძალები იყენებს. სამხედრო თვალსაზრისით, საკუთარი მახასიათებლებით, ის უფრო ქიმიურ იარაღთანაა ახლოს, ვიდრე მაგალითად, ბირთვულ იარაღთან. მას შეუძლია შედარებით მცირე ზომის ტერიტორიებზე, ბირთვული ქაოსი გამოწვიოს და ძირითადად ტერორისტულ იარაღად განიხილება. რა თქმა უნდა, ტერორისტული დაჯგუფებებისთვის, ბირთვული იარაღის შექმნა მეტად რთული, ძვირი და შრომატევადი საქმეა, ამიტომ, ეს არის იოლი გზა, შექმნა მოწყობილობა, რომელსაც ერთგვარი ბირთვული ქაოსის გამოწვევა შეუძლია“, – ამბობს კრისტენსენი.

კრისტენსენის თქმით, შემცველი ნივთიერებების რაოდენობის ზრდის, ან ბომბის სათანადო ადგილზე მოთავსების შემთხვევაში, მისი მოქმედების არეალის გაზრდა შესაძლებელია იმისთვის, რომ რადიოაქტიურმა ნივთიერებებმა, უფრო მეტი ადგილი მოიცვას, ვიდრე მაგალითად რომელიმე კონკრეტული ქალაქის, ერთი კონკრეტული დასახლება. ამას ხელი მეტეოროლოგიურმა პირობებმაც უნდა შეუწყოს. თუმცა, ამ პირობების შექმნის შემთხვევაშიც კი, „ბინძური ბომბი“ „ეფექტურ იარაღად“ ვერ განიხილება.

აფეთქების შემდეგ, ბომბი რადიოაქტიური ნივთიერებებით დაბინძურებულ ადგილს ქმნის, თუმცა მარკ ქენსიენი, CSIS-ის საერთაშორისო უსაფრთხოების პროგრამის უფროსი მრჩეველი ამბობს, რომ დაბინძურებული ადგილის მასშტაბი მეტად შეზღუდული შეიძლება იყოს.

„ეს არის ბომბი, რომელიც გარკვეულ ზონაში რადიოაქტიურ მასალას ავრცელებს. ის ნამდვილად ქმნის დაბინძურებულ ადგილს, რომლის მასშტაბი შესაძლოა იყოს რამდენიმე ათეული მეტრიდან, 100-200 მეტრამდე. მაგრამ, ეს ძალიან ლოკალიზებული ტერიტორიაა და მსხვერპლის გამოწვევის შესაძლებლობა საკმაოდ მცირეა. მე მას არ მივიჩნევ მასობრივი განადგურების იარაღად, რადგან მსხვერპლის გამოწვევის უნარი, საგზდნიეროდ, საკმაოდ შეზღუდულია“, – ამბობს „ამერიკის ხმასთან საუბრისას“ ქენსიენი.

„ბინძური ბომბის“ სწორედ ამ მახასიათებლებისა და რესურსის გამო, შეერთებული შტატების საზღვაო ქვეითთა კორპუსის თადარიგის გენერლისთვის, „მისტიურ“ ამოცანად რჩება, რატომ შეიძლება საუბრობდეს მის შესახებ რუსეთი?..

მოსკოვის ბრალდება კიევს და დასავლეთის პასუხი

კიევს ბრალი, თითქოს „ბინძური ბომბის“ გამოყენებას გეგმავს, თავდაპირველად, რუსეთის თავდაცვის მინისტრმა, სერგეი შოიგუმ საკუთარ დასავლელ კოლეგებთან საუბრისას დასდო. მოგვიანებით, ამაზე ისაუბრა თავად ვლადიმირ პუტინმაც. მან თქვა, რომ „პროვოკაციების მიზნით, უკრაინაში, ბინძური ბომბის გამოყენება იგეგმება“. 24 ოქტომბერს, რუსეთის საგარეო უწყებამ, „ტვიტერის“ ოფიციალურ გვერდზეც გაავრცელა განცხადება, სადაც ირწმუნებოდა, თითქოს „უკრაინაში მოქმედმა ორმა ორგანიზაციამ, „ბინძური ბომბის“ შექნის პირდაპირი მრძანება მიიღო და სამუშაო უკვე დასკვნით ეტაპზე იყო.“

ლავროვის უწყების ამ განცხადებამდე, უკვე ცნობილი იყო რუსეთის მრალდებაზე დასავლელი ლიდერების პირველი რეაქციები. 23 ოქტომბერს, შეერთებულმა შტატებმა, მრიტანეთმა და საფრანგეთმა, ერთობლივი განცხადება გაავრცელა, სადაც ნათქვამია – **„ჩვენ ყველანი უარვყოფთ რუსეთის ცრუ მრალდებებს, რომ უკრაინა საკუთარ ტერიტორიაზე „ბინძური ბომბის“ გამოსაყენებლად ემზადება.“** ვაშინგტონმა, ლონდონმა და პარიზმა, კიდევ ერთხელ გაიმეორეს, რომ რუსეთის მუდმივი აგრესიის ფონზე, დასავლეთი გააგრძელებს უკრაინის მხარდაჭერას იქამდე, ვიდრე ამის საჭიროება იქნება. ამასთან, დასავლელმა ლიდერებმა განაცხადეს, რომ რუსეთი ამგვარი მრალდებით, შემდგომი ესკალაციის საბაბის შექმნას ცდილობს.

უკრაინის პრეზიდენტმა, ვოლოდიმირ ზელენსკიმ, მრალდებას მრალდებით უპასუხა და თქვა, რომ შესაძლოა რუსეთი თავად გეგმავდეს ამგვარი იარაღის გამოყენებას უკრაინის წინააღმდეგ. კიევმა, რუსული მრალდებების გასაქარწყლებლად, უკრაინაში ატომური ენერგიიის საერთაშორისო სააგენტოს ექსპერტებიც კი მიიწვია. ვაშინგტონმა კი მრალდების საპასუხოდ, მოსკოვს იმ მძიმე შედეგების შესახებ შეახსენა, რაც რუსეთის მიერ, „ბინძური თუ ბირთვული“ ბომბის გამოყენებას მოჰყვება.

„რა თქმა უნდა, პრეზიდენტ პუტინის სისასტიკის კიდევ ერთი მაგალითი იქნებოდა, თუ ის ე.წ. „ბინძურ ბომბს“ გამოიყენებს. გამოიყენებს „ბინძურ ბომბს“, თუ ბირთვულ ბომბს, ამას რუსეთისთვის მძიმე შედეგები მოჰყვება. ამის შესახებ ჩვენ ძალიან მკაფიოდ ვისაუბრეთ“, – განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სპიკერმა, ნედ პრაისმა.

რას მიიღებს რუსეთი „ბინძური ბომბის“ გამოყენებით?

ვაშინგტონის ანალიტიკურ წრეებში, თითქმის უალტერნატივოა აზრი იმის შესახებ, რომ ომის ამ ეტაპზე, რუსეთი უკრაინაში „ბინძური ბომბის“, არა ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენებას არ უნდა გეგმავდეს. თუმცა, ანალიტიკოსები ამბობენ, რომ ამგვარ გადაწყვეტილებებს, რუსეთში, ვლადიმირ პუტინი ერთპიროვნულად იღებს. მისი ფიქრების წინასწარ განჭვრეტა კი თითქმის შეუძლებელია.

მაგრამ, რას მისცემს „ბინძური ბომბი“ რუსეთს სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით, თუ კრემლი ბრძოლის ველზე მის გამოყენებას გადაწყვეტს?

„ჩვენი შეფასებით, ახლა რუსეთის მხრიდან ამგვარი იარაღის გამოყენების რისკი დაბალია. ეს რუსეთის სამხედრო კამპანიას ვერაფრით დაეხმარება. ვერ დაეხმარება რუსული ძალების უკეთეს მანევრირებას, დამატებითი ტერიტორიების ხელში ჩასაგდებად; ეს ვერ მოაგვარებს მათ ლოჯისტიკურ, სტრუქტურულ პრობლემებს; ვერ მისცემს რაიმე საჰაერო უპირატესობას და ა.შ. და თუ კრემლი მაინც გადაწყვეტს ამგვარი იარაღის გამოყენებას, ამით ის ალბათ გააკრობს ერთ-ერთ უკანასკნელ ფაქტორს, რომელიც დღემდე ომში დასავლური სახელმწიფოების უფრო გადამწყვეტი ჩართვის პრევენციას ახდენს. თუ ამგვარი იარაღის გამოყენებას, რუსეთის გადამწყვეტი გამარჯვება არ მოჰყვება, ეს უკრაინაში კრემლის ამბიციების თვითმკვლელობა იქნება – ამიტომ, დიახ, ვფიქრობთ, რომ რუსეთის მხრიდან ამგვარი იარაღის გამოყენების რისკი დაბალია“, – ამბობს „ამერიკის ხმასთან“ საუბრისას, „ომის კვლევის ინსტიტუტის“, გეოსივრცული დაზვერვის ექსპერტი, ჯორჯ ბაროსი.

აშშ-ის საზღვაო ქვეითთა კორპუსის თადარიგის პოლკოვნიკი ქენსიენი ამბობს, რომ რთულია სარგებლის დანახვა, რომელსაც შესაძლოა რუსეთი, „ბინძური ბომბის“ გამოყენებაში ხედავდეს. თუმცა, ასევე ამბობს, რომ რუსეთის მიერ, ამგვარი ბომბის გამოყენების შემთხვევაში, დასავლეთის პასუხი მკაცრი უნდა იყოს.

„ზოგიერთი ვარაუდობს, რომ მთელი ეს რიტორიკა, შესაძლოა ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენების პრელუდია იყოს. მე ვფიქრობ, რომ ამის შესაძლებლობა ძლიერ ნაკლებია. ეს შეიძლება მხოლოდ პროპაგანდისტული ომის ნაწილი იყოს, რომელიც უკრაინის დისკრედიტაციისკენაა მიმართული. დიდი ძალისხმევა დახარჯეს იმისთვის, რომ ეს დამაჯერებელი იყოს - თავდაცვის მინისტრმა შოიგუმ, თავად დაურეკა დასავლელ თავდაცვის პირველ პირებს, მაგრამ, ამის უკან არანაირი მტკიცებულებები არ დგას. მაგრამ, თუ რუსეთი გამოიყენებს ქიმიურ იარაღს, ან „ბინძურ ბომბს“, დასავლეთის პასუხი ძალიან მკაცრი უნდა იყოს“, – ამბობს ქენსიენი.

რის მიღწევას ცდილობს რუსეთი?

ქენსიენის თქმით, უკრაინის მიმართ გამოთქმულ რუსულ მრალდებებზე, დასავლეთის რეაგირება სათანადო იყო. დასავლეთის პოზიცია კი გამოიხატა იმაში, რომ ამ ტიპის იარაღის გამოყენება მიუღებელია და რომ მას მძაფრი რეაქცია მოჰყვება. ამასთან, „დასავლეთმა თქვა, რომ მრალდება, თითქოს უკრაინა ემზადება ამგვარი იარაღის გამოყენებისთვის, დამაჯერებელი არ არის და ამას დასავლეთი არ დაიჯერებს. ვფიქრობ, დასავლეთმა ამით რუსეთს არ დაუტოვა საშუალება, საკუთარი პროპაგანტისტული გზები გააგრძელოს.“

მაგრამ, რა შეიძლება იყოს, რუსეთის მიერ, ბირთვული რიტორიკის შემდეგ, „ბინძური ბომბის“ შესახებ საუბრის დაწყების მიზეზი და მიზანი? გამოცდილი ამერიკელი დიპლომატი, უკრაინაში შეერთებული შტატების ყოფილ ელჩი, რუსეთის ამგვარ სამ შესაძლო მიზანს ასახელებს.

„პირველი – ეს შესაძლოა იყოს ზოგადი პროპაგანდა, რომლის მიზანი უკრაინის იმიჯის შელახვაა, თუმცა ამ პროპაგანდის არავის სჯერა. მეორე შესაძლო მიზანი პირველზე უარესია – შესაძლოა რუსეთი „ბინძური ბომბის“ გამოყენებას განიხილავს და სურს უკრაინის დადანაშაულება შეძლოს, როცა ამას თავად გააკეთებს. ეს წმინდა წყლის საბჭოთა ტაქტიკაა – დაადანაშაულო მეორე მხარე იმაში, რის გაკეთებასაც თავად გეგმავ. და მესამე – შესაძლოა ისინი ფიქრობდნენ, რომ ეს ტაქტიკა დასავლეთში აღქმული იქნება ნიშნად, რომ რუსეთი ნამდვილად გეგმავს „ბინძური ბომბის“ გამოყენებას, შედეგად კი შეამციროს უკრაინის სამხედრო დახმარება და დაჟინებით მოსთხოვოს კიევს, ცეცხლის შეწყვეტის რუსულ პირობებს დათანხმდეს“, – ამბობს „ამერიკის ხმასთან“ საუბრისას, ჯონ ჰერბსტი.

შესაძლოა, საკუთარი მრალდებების მეტი დამაჯერებლობისთვის, რუსეთმა გასულ კვირაში, „ბინძურ ბომბზე“ რეაგირების სპეციალური სამხედრო წვრთნა გამართა და სწავლებებს „ქუხილი“ დაარქვა. თუმცა, „როგორც ქუხს, ისე არ წვიმს“ – დასავლელი ლიდერები, ვაშინგტონის ანალიტიკური წრეების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ უკრაინის მიმართ, დასავლური მხარდაჭერა მტკიცე და შეუქცევადია.

ქართლოს შარაშენიძე

რა სურს ირანს რუსეთისგან დრონების სანაცვლოდ?

ამერიკის შეერთებული შტატები მიიჩნევს, რომ ირანს სურს, რუსეთმა მხარი დაუჭიროს მის ბირთვულ პროგრამას იმ შემთხვევაში, თუ მსოფლიო ძალებთან გრძელვადიანი ბირთვული შეთანხმება არ განხორციელდება.

დაზვერვა ვარაუდობს, რომ ირანმა სთხოვა რუსეთს დახმარება დამატებითი ბირთვული მასალების შესაძენად და ბირთვული საწვავის საწარმოებლად.

„დათანხმდა თუ არა კრემლი, რომელიც საჯაროდ ეწინააღმდეგება ირანის მიერ ბირთვული იარაღის შეძენას, გაურკვეველია“, — აცხადებს CNN-ის წყარო. გამოცემა წერს, რომ რუსეთთან შეთანხმება საშუალებას მისცემს ირანს, საჭიროების შემთხვევაში სწრაფად აღადგინოს თავისი ბირთვული პროგრამა. ირანის ასეთი მლიქვნელობის ფაქტი ძირს უთხრის ახალი შეთანხმების პერსპექტივას. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა განაცხადა, რომ ირანის ბირთვული პროგრამა წინ მიიწევს.

რუსეთი თავის დროზე ოფიციალურად გაეროში არც მიუღიათ

„არც 1991, არც 1992 წელს, არც შემდეგ გაეროში რუსეთის ფედერაციის მიღებაზე არანაირი კენჭისყრა არ გამართულა“, — ამის შესახებ გაეროში უკრაინის მუდმივმა წარმომადგენელმა სერგეი კისლიცამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე განაცხადა.

„მინდა დაგისვათ შეკითხვა — ოდესმე თუ ყოფილა რუსეთის წევრობა გაეროში ლეგიტიმური? იყო თუ არა ამ დარბაზში ოდესმე კენჭისყრა მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, გაეროს რიგებში რუსეთის მიღების შესახებ? ან 1991 წლის დეკემბერში, ან 1992 წლის იანვარში? ან მომდევნო პერიოდში? ასწიეთ ხელები იმ ქვეყნების წარმომადგენლებმა, რომლებმაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რიგებში რუსეთის მიღებას მხარი დაუჭირეთ. დამიდასტურეთ, რომ რუსეთი გაეროს წევრი ამ ორგანიზაციის წესდების მიხედვით გახდა. ასწიეთ ხელი, თუ თქვენი ქვეყნების დელეგაციამ ხმა მისცა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე რუსეთის მაშინდელი პრეზიდენტის, ბორის ელცინის მიერ 1991 წლის 24 დეკემბერს გამოგზავნილი წერილის საპასუხოდ. მაშინ მან სთხოვა გაეროს, რომ დაშლილი საბჭოთა კავშირის ფუნქციებს გაეროში რუსეთის ფედერაცია გააგრძელებს. ვერც ერთ თქვენს აწეულ ხელს ვერ ვხედავ, იქნებ სათვალე გავიკეთო და მხედველობა მღალატობს? და თუ არც ერთმა ქვეყანამ გაეროში რუსეთის მიღებას ხმა არ მისცა, მაშინ ამ ფაქტზე კარგად დაფიქრდით“, — განაცხადა უკრაინის ელჩმა გაეროში სერგეი კისლიცამ.

ცნობისთვის, რუსეთი დღეს გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრია და მას უშიშროების საბჭოს ნებისმიერ რეზოლუციაზე ვეტოს დადება შეუძლია, რაც არაერთხელ გაუკეთებია.

ყალმუხეთი რუსეთიდან გასვლას გეგმავს

რუსეთში შემავალი ყალმუხეთის რესპუბლიკის კონგრესმა ასეთი დეკლარაცია მიიღო:ს „ვაცხადებთ ჩვენი გადაწყვეტილების შესახებ, მივაღწიოთ რუსეთის ფედერაციის შემადგენლობიდან ყალმუხეთის რესპუბლიკის გასვლას და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას“, - წერია დეკლარაციის ტექსტში.

კონგრესის დეკლარაციაში ჩამოყალიბებულია რუსეთის დღევანდელი რეჟიმის მიმართ პრეტენზიების ჩამონათვალი. მათ შორის არის ქვეყნის „ცენტრალიზაცია და მილიტარიზაცია“, „კრემლის ტოტალური შეტევა რუსეთის მიერ დაპყრობილი ხალხების კულტურაზე და ენაზე, ასევე, საერთაშორისო დანაშაულები და კიდევ რამდენიმე პუნქტი, რომლებიც რუსული პოლიტიკის ავტორიტარიზმზე და იმპერიალიზმზე მიუთითებს. როგორც ტელეკომპანია FREELJV-ის ეთერში აქტივისტმა, იურისტმა, ცენტრ „მემორიალის“ წარმომადგენელმა დაავრ დორჟინმა განაცხადა, ყალმუხეთის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების სურვილზე უდიდესი გავლენა 21 სექტემბერს პუტინის მიერ გამოცხადებული მობილიზაცია გახდა.

„ეს რუსეთის ფედერაციის ისტორიაში პირველი და, იმედი მაქვს, ბოლო მობილიზაციაა. აქამდე მსგავსი ქმედების არანაირი პრაქტიკა არ არსებობდა. ამიტომ სამხედრო კომისარიატებს და ხელისუფლების ორგანოებს მიაჩნდათ, რომ მათ შეეძლოთ გაეკეთებინათ პრაქტიკულად რაც სურდათ“, — განაცხადა აქტივისტმა. მისი ინფორმაციით, მობილიზაციის გამო მისი ბევრი თანამოქალაქე მონღოლეთში გაიქცა. ყალმუხეთის რესპუბლიკა რუსეთის ფედერაციის სუბიექტია. ის დონის როსტოვს, ვოლგოგრადის და ასტრახანის ოლქებს, ასევე, ჩეჩნეთის რესპუბლიკას ესაზღვრება.

რუსეთში სამამულო ომისდროინდელი კანონები მეორდება

რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა კანონს, რომელიც მძიმე დანაშაულების ჩადენისთვის ნასამართლევი პირების სამხედრო მობილიზაციის შესაძლებლობას ითვალისწინებს.

დღეიდან რუსეთში შესაძლებელი იქნება, რომ მძიმე დანაშაულისთვის დაკავებული პირები ჯარში გამოიძახონ. გამონაკლისი იქნება მხოლოდ იმ პირების შემთხვევაში, ვინც სექსუალური ძალადობის, სახელმწიფო ღალატის, ჯაშუშობის ან ტერორიზმის მუხლით გაასამართლეს.

დასავლეთის მიზანი რუსეთის დასუსტება, დაშლა და განადგურებაა

„ისინი საკუთარ ინტერესებს ატარებდნენ, დაასუსტეს და დაარღვიეს ისტორიული რუსეთი. დღეს კი მუდმივად აწვდიან უკრაინას იარაღს, იქ დაქირავებული ჯარისკაცები გადაჰყავთ, მათ ხარჯზე ისინი აღწევენ თავიანთ გეოპოლიტიკურ მიზნებს, რომლებსაც საერთო არაფერი აქვთ უკრაინელი ხალხის ინტერესებთან.

მათი მიზანია რუსეთის დასუსტება, დაშლა და განადგურება. ეს მცდელობები გრძელდება, თუმცა ჩვენ არასოდეს დავუშვებთ ამას. ჩვენ დავიცავთ ჩვენს სამშობლოს ისე, როგორც ჩვენი გმირი წინაპრები აკეთებდნენ“, — განაცხადა პუტინმა.

წლეულს ექსპორტზე 107 მილიონი ბოთლი ღვინო გავიდა!

(მეექვსე გვერდიდან)

მისი თქმით, მიუხედავად პოსტპანდემიური პერიოდისა, 2021 წელი ერთ-ერთი წარმატებული წელი იყო — ღვინო ექსპორტზე 62 ქვეყანაში გავიდა და 100 მილიონ ბოთლიან ნიშნულს პირველად გადაცდა, სერტიფიკატი 107 მილიონზე მეტ ბოთლზე გაიცა.

ლევან მეხუზლას განცხადებით, წელს, პირველი ცხრა თვის განმავლობაში, ექსპორტის 155-იანი მატებაა და, ზოგადად, ამ სფეროში ათ წელზე მეტია არის სტაბილური ზრდა როგორც ექსპორტის, ასევე შემოსავლების თვალსაზრისით. როგორც მან აღნიშნა, დარგის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია კადასტრის პროგრამა, კახეთსა და რაჭაში სრულად დამთავრდა ვენახების პასპორტიზაცია, მომავალ წელს იგეგმება ამ პროცესის დასრულება საქართველოს მასშტაბით.

რთველის ხელშეწყობის ღონისძიებებზე საუბრისას, მან აღნიშნა, რომ ორივე წელს მოქმედებდა რთველზე სუბსიდირების პროგრამა და პროცესის სწორად წარმართვითა და კერძო სექტორის აქტიურობის შედეგად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების დაზოგვა მოხდა.

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ ასევე უპასუხა კომიტეტის წევრთა კითხვებს და მევენახეობის განვითარებისა და ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებებსა და კომიტეტთან სამომავლო თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.

„თამამად შეიძლება ითქვას, რომ მეღვინეობა საქართველოში ერთ-ერთი წარმატებული მიმართულებაა. მნიშვნელოვანია, რომ საექსპორტო პროდუქციაში ღვინის ექსპორტი წამყვან ადგილს იკავებს და ამის დასტურია ის ფაქტი, რომ მილიონ დოლარზე მეტის პროდუქცია იყო ექსპორტირებული.

62 ქვეყანაში შედის ქართული ღვინო და, რაც მთავარია, დღეს ანგარიშში მოვისმინეთ, რომ იმ მარკეტინგული ბაზრების კუთხით, სადაც გვსურს, რომ უფრო მეტად იყოს ქართული ღვინო წარმოდგენილი — ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, იაპონია, პოლონეთი... რეალურად მუშაობს კამპანია და ის პროგრამა, რომელსაც ღვინის სააგენტო აწარმოებს. კომიტეტმა ასევე გასცა რეკომენდაცია, რომ ანგარიშში ხარჯების ნაწილი უფრო დეტალურად იყოს გაშლილი. ზოგადად, სააგენტოს მიერ ჩატარებულ სამუშაოებს დადებითად ვაფასებთ“, — განაცხადა აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ნინო წილოსანმა.

მაცხალება

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების თაობაზე

1. 2022 წლის 07 ნოემბრიდან გამოცხადდეს ღია კონკურსი სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულებში სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ პოზიციებზე:

1.1 ქცევისა და კოგნიტიურ ფუნქციათა ლაბორატორია **– მეცნიერი თანამშრომელი (1 ერთეული „ა“, 1 ერთეული „ბ“კატეგორია);**

1.2 ადამიანის ფსიქოფიზიოლოგიის ლაბორატორია **– მეცნიერი თანამშრომელი (1 ერთეული „ბ“კატეგორია);**

1.3 ბიოინფორმატიკის ლაბორატორია **– მეცნიერი თანამშრომელი (1 ერთეული „ბ“კატეგორია);**

1.4 ძილ-ღვიძილის ციკლის ნეირობიოლოგიის ლაბორატორია - **უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (1 ერთეული „ა„ კატეგორია)**

2. მეცნიერი თანამშრომლის **თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;**

3. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის **თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;**

3. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

3.1. განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ - სამეცნიერო-სტრუქტურული ერთეულის (ლაბორატორია), დასაკავებელი პოზიციისა და კატეგორიის მითითებით;

3.2. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

3.3. კალენდარული ავტობიოგრაფია – CV, მასში მოყვანილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლებით;

3.4. დიპლომების ასლები;

3.5 გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი;

ა) სტატიების სრული სია;

ბ) თეზისების სრული სია;

4.6. საუკეთესო ნაშრომის ასლი, რომელიც უკეთესად წარმოაჩენს კონკრეტულ სტრუქტურულ ერთეულში მიმდინარე სამეცნიერო კვლევებში განმცხადებლის სამეცნიერო პოტენციალს, კვლევის უნარს;

5. კონკურსი ჩატარდება გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით;

არასრული და არასწორი ინფორმაციის მოწოდების შემთხვევაში კანდიდატურა არ განიხილება;

6. კონკურსის ჩატარების თარიღია 2022 წლის 16 დეკემბერი.

7. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ვადაა 2022 წლის 08 დეკემბრიდან 2022 წლის 13 დეკემბრის ჩათვლით.

8. საბუთები მიიღება სსიპ ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრში, მისამართი: 0160, თბილისი, გოთუას ქუჩა №14, II სართული, სამდივნო. (საბუთების მიღება ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა 10:00 საათიდან 18:00 საათამდე).

საკონტაქტო პირები: მარიამ ირემაშვილი; ნინო ემუხვარი;
ტელ.: 2 37 12 31; 2 37 03 00 ((227), (229), (225));
e-mail – secretary@biomedicine.org.ge

◎ ოვალური გურთი

შენდება, მშვენდება

ფონდ „ქართუს“ სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელმა ნიკა ჩხეტიანმა და რაგბის კავშირის პრეზიდენტმა იოსებ ტყემალაძემ „შევარდენის“ სანაკრებო ბაზა დაათვალიერეს, რომლის სრული რეაბილიტაცია ფონდ „ქართუს“ 5-მილიონიანი დაფინანსებით განხორციელდა.

მოეწყო მოედნის ბუნებრივი და ხელოვნური საფარი, ულტრათანამედროვე ინფრასტრუქტურა, გარემონტდა სასტუმრო. ჩხეტიანი და ტყემალაძე შეხვდნენ და სამომავლო გეგმებზე ესაუბრნენ ბორჯღალოსანთა მთავარ მწვრთნელს **ლევან მაისაშვილს** და მორაგბეებს, რომლებიც ნოემბრის ტესტ-მატჩებისთვის ემზადებიან. ქართულ რაგბიში განვითარების ახალი ეტაპი წლების წინათ დაიწყო, როდესაც ფონდმა „ქართუმ“ ამ სახეობაში 200 მილიონის ინვესტირების გადაწყვეტილება მიიღო. „შევარდენის“ ბაზა და „ავჭალის“ სტადიონი პირველი იყო, რომელიც ამ პროგრამის ფარგლებში აშენდა, სულ კი ქვეყნის მასშტაბით 14 სარაგბო კომპლექსი ჩაბარდა 27 სარაგბო მოედნით, 2 აკადემიით და 5 სასტუმროთი.

ფონდ „ქართუს“ მიერ თბილისის გარდა სარაგბო კომპლექსები მოეწყო ფოთში, ქუთაისში, ასპინძაში, რუსთავში, მარტყოფში, გორში, ბათუმში, თელავში, ნოქალაქევში და ეს პროცესი კვლავაც გრძელდება. მიმდინარეობს სარაგბო სტადიონის მშენებლობა ზუგდიდში.

◎ კალათბურთი

14 რჩეული

საქართველოს კალათბურთელთა ეროვნულ ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩები ელის. ილიას ზუროსის გაწვრთნილი ჩვენი გუნდისთვის მომავალი ფანჯრის შეხვედრები უაღრესად მნიშვნელოვანია — განსაკუთრებით კი თამაში ისლანდიასთან, რომელიც ჩვენი უშუალო კონკურენტია მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლისთვის ბრძოლაში.

საქართველოს ნაკრები პირველ შეხვედრას სწორედ ისლანდიასთან გამართავს. მატჩი ჩვენგან შორეულ რეიკიავიკში, 11 ნოემბერს, თბილისის დროით 23:30 საათზე დაიწყება. ჩვენი გუნდი ისლანდიიდან ჩარტერული რეისით, თამაშის შემდეგ გამოემგზავრება, რათა თბილისში, იტალიასთან 14 ნოემბერს დაგეგმილი მატჩისთვის მოემზადოს. ესპანეთთან ერთად ჩვენი ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი იტალია "თბილისი არნაზე" ილიას ზუროსის გუნდს 14 ნოემბერს, 19 საათზე დაუპირისპირდება.

მომავალი ბრძოლებისთვის მოსამზადებლად საქართველოს ეროვნული გუნდი დღეს პირდაპირ ისლანდიაში შეიკრიბება, სადაც ნაკრების წევრები იმ ქვეყნებიდან ჩავლენ, სადაც ამჟამად იმყოფებიან. საქართველოს სუპერლიგაში მოთამაშეები, ლეგიონერები და ნაკრების უცხოელი მწვრთნელები ერთმანეთს მიუნხენის აეროპორტში შეხვდებიან და რეიკიავიკში დღეს გამთენიისას იქნებიან.

ჩვენი გუნდი რეიკიავიკში 4 დღის განმავლობაში ივარჯიშებს, ხოლო 11 ნოემბერს, „ლაუგარდალსჰოლში“ ისლანდიის ნაკრებს დაუპირისპირდება, რომელსაც საქართველოზე 1 მოგებით მეტი აქვს და ყველაფერი იქით მიდის, რომ სწორედ ამ ორი გუნდიდან ერთ-ერთი მიიღებს ჩვენი ჯგუფიდან მსოფლიოს ჩემპიონატის მე-3 საგზურს. დიდი ალბათობით, მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურებს მოიპოვებენ ამჟამად ჯგუფის 1-2 ადგილებზე თანაბარი ქულებით მყოფი ევროპისა და მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი ესპანეთი და იტალია.

სასიხარულოა, რომ ისლანდიაში საქართველოს ნაკრებს **თორნიკე შენგელია** დაეხმარება, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის წინა ფანჯრის დროს, 24 აგვისტოს, ჰოლანდიასთან მატჩში მხრის ტრავმა მიიღო და მწყობრში ამ დღეებში ჩადგა. შენგელია ნაკრებში ჩასვლამდე თავის იტალიურ კლუბ „ვირტუსში“ ითამაშებს სერია A-სა და ევროლიგის მატჩებს და ნაკრებს რეიკიავიკში 10 ნოემბერს შეუერთდება. ორი დღით ადრე, 8 ნოემბერს ჩავლენ ისლანდიაში ესპანეთში მოთამაშე ჩვენი ნაკრების წევრები — **გიორგი შერმადინი** და **თად მაკფადენი**. იმ 12 კალათბურთელს, რომლებიც 11 ნოემბერს ისლანდიას დაუპირისპირდებიან, ილიას ზუროსი თამაშის წინა დღეს დაასახელებს.

ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბში ილიას ზუროსს 2 ასისტენტი: გეორგიოს ლიმნიატისი და ანატოლი ბოისა ეყოლება. ჩვენს ეროვნულ ნაკრებში 10-წლიანი მუშაობის შემდეგ მილოშ გლიგორიევიჩმა საქართველო დატოვა, ხოლო სკფ-ს ახალი გენერალური მდივანი დავით საყვარელიძე გახდა.

◎ ოკეანის გაღმა

ქამრების კოლექციონერი



კაცი რომ დღისით ტრაილერით ერთი შტატიდან მეორემდე 1600(!) კილომეტრს დაფარავს, ხოლო ღამით ძალისმიერ სამჭიდში საათობით ივარჯიშებს, დაგვეთანხმებით, მიზანდასახულობით უნდა გამოირჩეოდეს და, კარგი გაგებით, შერეკილიც უნდა იყოს.

სწორედ ასეთი გახლავთ 33 წლის მსოფლიო ქამრის აწ უკვე ოთხგზის ქუთაისელი მფლობელი, პლანეტის რვაგზისა და ევროპის შვიდგზის ჩემპიონი და მრავალგზის რეკორდსმენი **გივი მარგველაშვილი,** რომელიც ტვირთის გადაზიდვის შემდეგ, უკვე სამი წელია, დარბაზიდან სამშობლოში ტელეფონით უკავშირდება პირად მწვრთნელს — ორჭიდში ასევე ყველა ტიტულის მფლობელს **რაულ ცირეკიძეს** და ისე იღებს პროფესიულ რჩევებს.

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა — ჩვენი საამაყო თანამემამულე ჯერ დაუმარცხებელია, თუმცა მეტოქეთა, განსაკუთრებით ამერიკელთა და უკრაინელთა სიძლიერესა და ღირსებებსაც აღიარებს. რაც შეეხება უკანასკნელ ტრიუმფს, იგი კალიფორნიაში გამართულ მსოფლიო თამაშებზე გამოიჭედა.

დავძენთ, რომ სპორტის ამ ვაჟკაცური სახეობის საერთაშორისო ფედერაციასთან და მის პრეზიდენტთან უილიამ კლერისთან გაფორმებულ 5-წლიან კონტრაქტს გაისად ზაფხულში ეწურება ვადა, შინ კი რიონისპირელ მოვლენას დედა — აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და ყველაზე დიდი გულშემატკივარი ნატო ჩხარტიშვილი, ამ ეტაპზე უმუშევარი მამა და სტუდენტი დაიკო ელოდებიან.

◎ წილისყრა

დღეს შვეიცარიაში

დღეს საფეხბურთო სამყაროს ყურადღება შვეიცარიისკენაა მიპყრობილი, სადაც უეფას შტაბ-ბინაში ევროტურნირების მერვედფინალისტთა წილისყრაა დანიშნული.

ქართველ გულშემატკივარს განსაკუთრებით „ნაპოლის“ ბედი აღელვებს, სადაც ხვიჩა კვარაცხელია შთამბეჭდავ იტალიურ სადებიუტო სეზონს ატარებს. **ლუჩანო სპალეტის გუნდის შესაძლო მეტოქეები არიან „პარი სენ-ჟერმენი“, „ბრიუგე“ და გერმანული ტრიო „დორტმუნდის“, „ლაიფციგისა“ და „აინტრახტის“ შემადგენლობით. საინტერესოა აგრთვე, თუ ვინ შეხვდება კონფერენს ლიგის პლეიოფში ჯაბა კანკავას, გურამ კაშიასა და ბოლო დროს კვლავ ჩვეული სიმწვავით ათამაშებული გიორგი ჩაკვეტაძის სლოვაკურ კლუბს „სლოვანს“, აგრეთვე ნიკა კვეკვესკირისა და გიორგი წიტაიშვილის პოლონურ გუნდს „ლეხს“.**

◎ რელიკვია

აუქციონზე იყიდება



„ფერარის“ სარბოლო ავტომობილი, რომლითაც მიხაელ შუმახერმა ხუთი რბოლა მოიგო და 2003 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ქალაქ ჟენევაში, სოთბის აუქციონზე გაიყიდება. ამ ავტომობილით (შასი 229), გერმანელმა ლეგენდამ სულ ცხრა რბოლაში მიიღო მონაწილეობა. აუქციონის ორგანიზატორი ელის, რომ მასში 9.4 მილიონ დოლარს გადაიხდიან.

„ეს განსაკუთრებული ავტომობილია, რადგან ფერარის ისტორიაში სულ ოთხია ისეთი ავტომობილი, რომლის ანგარიშზეც ოთხზე მეტი მოგებაა. თანაც, მას თავისი თაობის ყველაზე გამორჩეული მრბოლი, მიხაელ შუმახერი მართავდა“, — ამბობს RM სოტბის გაყიდვების დირექტორი **ვინსენტ ლუზუი.**

ის დასძენს, რომ ამ ავტომობილით უფრო მეტად ის ადამიანები შეიძლება დაინტერესდნენ, რომლებიც ისტორიული ავტომობილების რბოლებში მონაწილეობენ, რადგან გასაყიდი ეგზემპლარი სრულ სარბოლო მზადყოფნაშია.

იმავე აუქციონზე სოთბის გასაყიდად გამოაქვს რვა იშვიათი ლურჯი ბრილიანტი, რომელთა ჯამური ფასიც 70 მილიონ დოლარზე მეტია. სოთბის საიუველირო ნაწარმის სპეციალისტი **მარი-სესილ ჩისამოლო** ამბობს, რომ ლურჯი ბრილიანტი დიდი იშვიათობაა და ერთდროულად რვა ასეთი ქვის შესყიდვა, ბევრისთვის საოცნებო იქნება.

◎ ომი და მშვიდობა

ჭიჭული რას მიქვია...

ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა სამინისტრომ სანქციირებულთა ახალი სია გაასაჯაროვა, სადაც სპორტული მოღვაწენიც შეიყვანა.

ჩამონათვალში მოხვდნენ ცოცხალი ლეგენდები — ბერძნულ-რომაულ ჭიდაობასა და ჰოკეიში სამსამგზის ოლიმპიური ჩემპიონები **ალექსანდრ კარელინი** და **ვლადისლავ ტრეტიაკი,** აგრეთვე რუსეთის ტრიატლონის ფედერაციის პრეზიდენტი **ქსენია შოიგუ,** ციგურებით რბენაში ოლიმპიური ჩემპიონი **სვეტლანა ჟურავა,** ვითიბი-ს საკალათბურთო ლიგის საპატიო პრეზიდენტი **სერგეი ივანოვი** და რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის საპატიო პრეზიდენტი **ალექსანდრ ჟუკოვი.**

◎ ბრძენთა თამაში

94 წლის ოთარ შონიას ნააზრევი



ოკუპირებულ აფხაზეთში საქართველოს მოქალაქე უკანონოდ დააკავეს!

ოკუპირებული აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებმა უკანონოდ დააკავეს საქართველოს მოქალაქე, გალის მცხოვრები ა.თ. ინფორმაციას ამის შესახებ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ავრცელებს. ცხელი ხაზით გაზიარებული ინფორმაციით, უკანონოდ დაკავებულს ე.წ. ბრალი ედება ნარკოტიკული ნივთიერებების შეძენა შენახვის ფაქტზე.

გაზიარებული ინფორმაციის მიხედვით, უკანონო დაკავება ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოხდა, სადაც ა.თ პერმანენტულად ცხოვრობს.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ დაუყოვნებლივ გააქტიურდა ცხელი ხაზი და ინფორმაცია ა.თ.-ის უკანონოდ დაკავების შესახებ ეცნობა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას და ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების თანათავმჯდომარეებს. ამოქმედებულია ყველა არსებული მექანიზმი და მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს მოქალაქის უკანონო პატიმრობიდან გასათავისუფლებლად.

საოკუპაციო ძალის მიერ უკანონო დაკავებების უკიდურესად დესტრუქციული პრაქტიკა, რომელსაც ახორციელებს საოკუპაციო რეჟიმი, ართულებს ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებას და მნიშვნელოვან ზიანს აყენებს უსაფრთხოების გარემოს. საოკუპაციო ძალის მიერ განხორციელებული ყველა დაკავება უკანონოა და აღნიშნულზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება საოკუპაციო ძალას.

გამონაბოლქვი გვაცრეზობს!

ტექდათვალიერების ტარიფის გაზრდას ითხოვენ – ბიზნესი ამტკიცებს, რომ ხარჯს ველარ ფარავს

ტექინსპექტირების ცენტრების წარმომადგენლები უკვე პირდაპირ ამბობენ, რომ დღეს მოქმედი ტარიფები უნდა გაიზარდოს. მიზეზი ისაა, რომ ტექდათვალიერების ობიექტების შემოსავალი ხარჯს ველარ ფარავს. პრობლემაა განმეორებითი ინსპექტირების საკითხიც. დღესდღეობით იგი უფასოა, ეს კი ცენტრებს ფინანსურად სერიოზულად აზარალებს.

რამდენად გაითვალისწინებს მთავრობა ბიზნესის მოთხოვნას, ეს ჯერ უცნობია. მანამდე კი ტექინსპექტირების ცენტრების კავშირის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი შიოლაშვილი ამბობს, რომ უკვე პრობლემად დგას ცენტრების ფინანსური სტაბილურობა. იქიდან გამომდინარე, რომ საფასურები არ შეცვლილა უკვე 4 წელია, ცენტრებს უკვე უჭირთ ამ პირობებში მუშაობა.

„ვფიქრობ, გადასახედია როგორც პირველადი ტექინსპექტირების საფასური, ისე, ისიც, რომ განმეორებითი ინსპექტირება არის უფასო, ეს უნიკალური შემთხვევაა, არსად არ არის ასე. მიღებული პრაქტიკით პირველადი ინსპექტირების დაახლოებით 30-40%-მდეა ღირებულება განმეორებით ინსპექტირებაზე. ის რომ, სერვისის გაწევა ხდება უფასოდ, ეს აზიანებს ცენტრებს ფინანსურად. პროდუქტიული დროის დაახლოებით 35%-ის გაწევა უწევთ უფასო მომსახურებაზე და საშუალებას არ აძლევს ცენტრებს განვითარდნენ.

ამ საკითხზე მივმართეთ მთავრობას, კონსულტაციები იყო და ვიმედოვნებთ, რომ ეს საკითხი გადაიხედება და იმ მოცემულობას მივიღებთ, რომ ცენტრების ფინანსური მდგომარეობა შეიცვლება“, — განაცხადა შიოლაშვილმა.

ტექინსპექტირებაზე ტარიფი 2018 წელს დაწესდა და უკვე მის გაზრდას ითხოვენ. საავტომობილო დარგის ექსპერტი ვაჟა იორდანიშვილი ამბობს, რომ დღეს ქვეყანაში არსებულ გაძვირებულ ფონზე იგი გადასახედია.

„ბაზარზე 42 ორგანიზაციაა, რომლებსაც 73 რესპუბლიკის მასშტაბით 73 ლოკაცია აქვთ. რაც შეეხება ტარიფებს, მე გამიჭირდება იმის თქმა, რა და როგორ უნდა იყოს. კარგი იქნება, თუ ამ მიმართულებით შეიქმნება გარკვეული სამუშაო ჯგუფი, რადგან ეს ტარიფი დადგენილია მთავრობის მიერ და ბიზნესს არა აქვს საშუალება, რომ გადახედოს ან თავისი ტარიფი დააწესოს.

ამიტომ ვფიქრობ, რომ საჭიროა სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომლებიც იმსჯელებენ ამ თემაზე. როდესაც დაწესდა ეს ტარიფი რა იყო გათვალისწინებული მაშინ და დღევანდელი მოცემულობით რა ხარჯებთან არის დაკავშირებული და რა თვითღირებულებაა, შესაბამისად უნდა გავითვალისწინოთ მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა, რომ ეს მათ დიდ ტვირთად არ დააწვეს“, — აღნიშნა ვაჟა იორდანიშვილმა.

პრობლემა კომპლექსურია და ყველაზე მთავარი ამ პრობლემაში არის მიმართვიანობა. საქართველოში რეალურად მილიონ-ნახევარი ავტოსატრანსპორტო საშუალებაა და ტექინსპექტირებას 750 000 გადის.

„ავტომანქანების დანარჩენი ნაწილი, დიდი ალბათობით, არ გადის ტექინსპექტირებას და ჯარიმებით გადაადგილდება, ისიც თუ დაიწერა, რადგან ვიცით, რომ ჭკვიანი კამერები გაუმართავად მუშაობენ, მაგრამ ის რასაც გზებზე ვხედავთ, ანუ ავტომობილებს, რომლებსაც მოჭარბებული კვამლი აქვთ და გაუმართავია, ეს, დიდი ალბათობით, ის სატრანსპორტო საშუალებებია, რომლებიც ტექინსპექტირებას არ გადიან.

რაც შეეხება გამონაბოლქვს, ეს ძალიან სერიოზული პრობლემა და საპირწონეზე დგას ავტომობილის გამოსწორება, გამართულობა და ყველა ჩვენგანის ჯანმრთელობა. დაბინძურებული ჰაერის 70% სწორედ ავტომობილებზე მოდის.

აქედან გამომდინარე, ჩვენთან ტექინსპექტირების რეგლამენტში გვიწერია, რომ თუნდაც ჯდებოდეს პარამეტრები დასაშვებ ნორმებში, მაგრამ ჰქონდეს ხილული კვამლი ან მოჭარბებული კვამლიანობა, ასეთი სატრანსპორტო საშუალება ტექინსპექტირებას ვერ გადის.

სხვათა შორის, კანონპროექტი შეტანილია და განიხილავენ, რომ ხილული კვამლი გახდეს დაჯარიმებადი. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანი, ბერკეტი იქნება და მნიშვნელოვნად გამოასწორებს მდგომარეობას, რადგან თუ მომართვიანობა გაიზრდება და ყველა ავტომობილი გაივლის ტექინსპექტირებას და გზაზე კონტროლიც გამკაცრდება, ეს მყისიერ შედეგს მოგვცემს“, — აღნიშნა „კომერსანტის“ ეთერში ექსპერტმა.

ვაჟა იორდანიშვილი იმასაც ადასტურებს, რომ ტარიფების გადახედვის თვალსაზრისით ჯერჯერობით არანაირი კომუნიკაცია და მოლოდინები არ არის.

ბექა დანელია

რუსეთიდან შემოსული ვიზიტორების რაოდენობამ 100 615 შეადგინა, რაც ომამდელ დონეს 6.4-ჯერ აღემატება

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკის თანახმად, სექტემბერში საქართველოში მყოფი უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა კვლავ გაიზარდა.

გარდა ამისა, რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის შემდგომ, უკრაინიდან, რუსეთიდან და ბელარუსიდან შემოსული მოქალაქეების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა და მათი ვიზიტების საშუალო ხანგრძლივობაც გაზრდილია.

30 სექტემბრის მდგომარეობით საქართველოში 197,343 უცხო ქვეყნის მოქალაქე იმყოფებოდა.

რუსეთი — 100,615 ვიზიტორი
უკრაინია — 22,514 ვიზიტორი
ბელარუსი — 14,028 ვიზიტორი

აღნიშნული მონაცემები ჯამურად ომამდელ დონეს 6.4-ჯერ აღემატება.

აღსანიშნავია, რომ სექტემბრის ბოლოს აგვისტოსთან შედარებით უცხო ქვეყნის მოქალაქეთა რაოდენობა 12 ათასი ადამიანითაა გაზრდილია, რაც დიდწილად მობილიზაციის გამოცხადების შემდგომ რუსეთიდან გაზრდილ შემოდინებას უკავშირდება.

ყველაზე მეტი ტურისტული შემოსავალი საქართველომ სექტემბერში რუსებისგან მიიღო!

2022 წლის სექტემბერში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საქართველოს საერთაშორისო მოგზაურობიდან შემოსავალი 132,1%-ით გაეზარდა.

სტატისტიკის მიხედვით, წელს სექტემბერში უცხოელი მოგზაურებისგან შემოსავალი შეადგენდა 375,6 მლნ დოლარს, მაშინ, როცა ერთი წლის წინ ეს მაჩვენებელი 161,9 მლნ დოლარი იყო.

ეროვნული ბანკის მონაცემებით, ყველაზე მეტი შემოსავალი საქართველომ რუსეთის მოქალაქეებისგან მიიღო. სამეული ქვეყნების ჩამონათვალი შემდეგია:

რუსეთი — 95,5 მლნ აშშ დოლარი
თურქეთი — 35,8 მლნ აშშ დოლარი
უკრაინა — 31,5 მლნ აშშ დოლარი

„2022 წლის სექტემბერში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა წინა წელთან შედარებით 147.0%-ით გაიზარდა. ტურისტების რაოდენობამ მთლიანი ვიზიტორების 80.8% შეადგინა და წლიურად 115.7%-ით მოიმატა. აღნიშნულ თვეში, ერთდღიანი ვიზიტების რაოდენობა საგრძნობლად (6-ჯერ) გაიზარდა“, — აღნიშნულია ეროვნული ბანკის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ეროვნული ბანკი
საერთაშორისო ჰუმანიტარული ეკავშირი (ასოციაცია)
International Humanitarian Union (Association)
Catharsis

ვიწვევთ ასოციაცია „კათარზისის“ თავშესაფარში ცხოვრების მსურველ საპენსიო ასაკის, თვითმოვლის უნარის მქონე ხანდაზმულ ქალბატონებს.

დეტალური ინფორმაციისთვის მსურველები დაგვიკავშირდნენ 10 სთ-დან 18 სთ-მდე. ტელ: 2957876, 558194130

ზაურ (ოლეგ) ალადაშვილი „კათარზისის“ პრეზიდენტი

მრავლისმეტყველი ისტორიული ფაქტი

იერუსალიმში მეხუთე საუკუნის უძველესი ქართული მონასტრისა და სამუელ ქართველთა ეპისკოპოსის სამარხის შესახებ ოფიციალური საინფორმაციო დაფა გაიხსნა. იერუსალიმის ცენტრში, დავით მეფის ქუჩაზე, განთავსდა მემორიალური დაფა, რომელიც მეხუთე საუკუნის ქართული მონასტრისა და ეპისკოპოსი სამუელის სამარხის ადგილს მიუთითებს.

ეს არის პირველი მემორიალური დაფა იერუსალიმში ქართულ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ და ასევე პირველი ქართულენოვანი წარწერა.

„ცნობა ქართველთა მონასტრისა და სამუელ ქართველთა ეპისკოპოსის სამარხის აღმოჩენის შესახებ, სამეცნიერო წრეებში 1935 წელს გამოქვეყნებული მასალით გახდა ცნობილი, ხოლო ქართველ საზოგადოებას ამის შესახებ, პირველად, წმინდა გრიგოლ ფერაძემ ამცნო, რომელმაც იერუსალიმში1936 წელს იმოგზაურა.

მემორიალური დაფის განთავსება საქართველოს საგარეო საქმეთა და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროების, ასევე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო ფონდის, ისრაელში საქართველოს საელჩოს და ისრაელის შესაბამისი უწყებების ერთობლივი ძალისხმევით გახდა შესაძლებელი. მემორიალური დაფის ოფიციალური გახსნის ცერემონიას ისრაელში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი და საელჩოს წარმომადგენლები დაესწრნენ“.

კოტე მარჯანიშვილის დაკრძალვის განახლებული კინოკადრები

რეჟისორ კოტე მარჯანიშვილის დაკრძალვის ახალალმოჩენილი კინოკადრები საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივში 4K გარჩევადობის სკანერით გაციფრულდა.

სტუდია „მემატიანეს“ საცავში თანამედროვე ქართული თეატრის ფუძემდებლის დაკრძალვის კინოფირი რამდენიმე კვირის წინ აქამდე გაუშიფრავ მასალაში აღმოჩნდა.

კოტე მარჯანიშვილი 1933 წლის 17 აპრილს რუსეთში, მოსკოვში გარდაიცვალა. მისი ფერფლი საქართველოში ჩამოასვენეს და 1933 წლის 29 აპრილს ოპერის თეატრის ეზოში დაკრძალეს. საკუთარი თეატრიდან კოტე მარჯანიშვილის გამოსვენებასა და დაკრძალვას უამრავი ადამიანი ესწრებოდა, მათ შორის იყვნენ საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლები: **ალექსანდრე წუწუნავა, ნიკოლოზ შენგელაია, ვასო გოძიაშვილი, სანდრო ჟორჟოლიანი, დოდო ანთაძე, ცეცილია წუწუნავა, ლადო გუდიაშვილი, ლეო ესაკია, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე და სხვები. სტუდია „მემატიანემ“ ახალალმოჩენილი კადრების ელექტრონული ვერსია ეროვნულ არქივს გადასცა და იგი მკვლევართა დარბაზის მეშვეობით ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის იქნება ხელმისაწვდომი. ამასთან, უახლოეს მომავალში ეროვნულ არქივში კინოკადრების ციფრული რესტავრაცია იგეგმება.**

ხვიჩა კვარაცხელიას მანქანა რეკორდულ დროში მოიძებნა

„ნაპოლის“ გარემარბის, ხვიჩა კვარაცხელიას მანქანა რეკორდულ დროში მოიძებნა. ინფორმაციას ამის შესახებ ნეაპოლიტანური მედია ავრცელებს.

ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, ხვიჩა კვარაცხელიას მანქანა პოლიციელებმა ნეაპოლიდან 24 კილომეტრში, ქალაქ ავერსას მახლობლად ერთ-ერთ ქუჩაში მიტოვებული იპოვეს.

3 ნოემბერს, ნეაპოლის მახლობლად მდებარე ქალაქ კუმაში „ნაპოლის“ ქართველი გარემარბის, ხვიჩა კვარაცხელიას სახლი გაძარცვეს. ქურდებმა ავტომობილი **Mini Countryman**-ი მოიპარეს.

რა ცოდვა აქვს ასეთი?



ამერიკელმა რეპერმა კანიე უესტმა 30 დღით სექსზე, ალკოჰოლსა და ადამიანებთან საუბარზე უარი თქვა.

„საუბრისგან თავის შეკავება, არანაირი ალკოჰოლი, არანაირი ფილმები უფროსებისთვის, არანაირი სექსობრივი აქტები“, — წერს კანიე უესტი Twitter-ზე.



ქველმოქმედება წმინდა საქმეა

ორგანიზაცია Firefighters Calendar-მა მეხანძრეების ფოტოების ყოველწლიური კალენდარი გამოუშვა. პოპულარული პროექტი უკვე 30 წლისაა.

პროექტის ავტორისა და დირექტორის, დევიდ როჯერსის განცხადებით, ამ პერიოდის განმავლობაში, სხვადასხვა საქველმოქმედო ორგანიზაციისთვის 3,4 მილიონზე მეტი დოლარი შეგროვდა.

ჯენიფერ ენისტონი ბრედ პიტს სასამართლოში უჩივის

სერიალ „მეგობრების“ ვარსკვლავი ჯენიფერ ენისტონი ყოფილ მეუღლეს, ბრედ პიტს სასამართლოში უჩივის. საჩივრის მიზეზია ის, რომ ბრედ პიტმა მათი ერთობლივი ბიზნესის გაყიდვა გადაწყვიტა, ყოფილი მეუღლე კი საქმის კურსში არ ჩაუყენებია.

2000-იანი წლების დასაწყისში პიტმა და ენისტონმა კომპანია Plan B დააფუძნეს, რომელიც კინოს, სერიალებისა და სხვა პროექტების წარმოებით იყო დაკავებული. მსახიობების განქორწინების შემდეგ ფირმა პიტის მფლობელობაში გადავიდა, ენისტონს კი საჯაროდ კომპანიაში საკუთარი წილი არ მოუთხოვია.

მიუხედავად ამისა, როდესაც ენისტონმა გაიგო, რომ კომპანია იყიდება, მან გადაწყვიტა, ყოფილ მეუღლეს სასამართლოში უჩივლოს. არსებული ინფორმაციით, ენისტონი კომპენსაციის სახით 100 მილიონი დოლარის გადახდას ითხოვს.

როგორ შეიძლება გამოიყურებოდეს ადამიანი 3000 წელს

მკვლევრებმა შექმნეს ადამიანის გროტესკული მოდელი, სახელად „მინდი“, რომელიც ასახავს თუ როგორ შეიძლება გამოიყურებოდეს ადამიანი 800 წელზე ნაკლებ დროში და ამას ტექნოლოგიებზე დამოკიდებულება გამოიწვევს.

წელში მოხრილი, ფართო კისერი, ბრჭყალებიანი ხელები და თვალის მეორე ქუთუთო — „მინდი“... ასეთი შეიძლება იყოს ადამიანი 3000 წელს. „მინდი“ Toll Free Forwarding-მა შექმნა იმისთვის, რომ ვიზუალიზაცია მოეხდინა იმის, თუ როგორ მოქმედებს ტექნოლოგიები ადამიანის სხეულზე.



„ჩვენ ჩავატარეთ სამეცნიერო კვლევა იქამდე, სანამ დავიწყებდით 3 D დიზაინის შექმნაზე მუშაობას. წლების განმავლობაში სმარტფონებში დაბლა ან წინ, კომპიუტერის ეკრანის ყურება გამოიწვევს მოხრილ ფიგურასა და გასქელებულ კისერს, ისე, როგორც მოდელს აქვს. ამასობაში, პერმანენტულად ტელეფონის ჭერის გამო ჩვენი ხელები დროთა განმავლობაში მომრგვალდება და ბრჭყალების ფორმას მიიღებს. გარდა ამისა, შესაძლოა მომავალში ადამიანის თავის ქალა გასქელდეს, ტვინი კი დაპატარავდეს“.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჟურნალისტიკის გამზირი №17ი

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 9 ნოემბერს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7419; ევრო - 2.6838
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0761;
100 რუბლი - 4.4104; თურქული ლირა - 0.1482;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6163;
1000 სომხური დრამი - 6.9371.

ამინდი 7 ნოემბრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +2, დღე +13
მთიანი რაიონები - ღამე —2, დღე +10
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +6, დღე +21
მთიანი რაიონები - ღამე 0, დღე +17
თბილისი: ღამე +8, დღე +12

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge